


652 /2
1987

ISSN 0134-3459

ՎՐԱՆԻ



5

1987

ФИЛМЫ

ପାତ୍ର ପାତ୍ରକାଳୀ

29-3

፭፻፲፭

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურნალი

საქართველოს მფრინავთა კავშირისა და აჭარის განყოფილების მრჩევი

და მშვინიერი ზღვა გვაჩვეს, აჭარა
და მოსავალი, ძვირფასი ტელიოთ...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
ლომასავლეთით და დასავლეთით.

ପ୍ରାଚୀନତା

5

1987

ଶ୍ରୀକର୍ଣ୍ଣମାନ
ବିଜୟମାନ



৮১০।৩৮০

ବେଳେରାମ, କର୍ମଚାରୀ ଗତିଶୀଳ
ପଦବେଳୀ ନିର୍ମାଣ କାର୍ଯ୍ୟକାରୀତି
ଲାଗାଇଥାିବେ 150 ଏଲାକ୍ସଟାରେ,
ଲାବାକ୍ଷଣିକୀୟ:

ერის მოძღვარი

3

პრეზიდენტის მიერ

ეჭვუნა საჯიშვილი — ძიავ, ქარ-	
თველო მეგაზეთევ; (ლექსი)	10
დავით ნაცვალაძე — ჩვენს სიცო-	
ცხლეს აქ უჩქეფნოა (მოიხრობა)	12
გამია კარშანიძე — უერგდაღული	
(ლექსიგბი)	21
ჯემალ ჯაფელი — ილიას (ლექსი)	31
ალექსანდრე სამსონია — თბილისმი,	
„ივერიის“ რედაქციაში (პიესის	
ერთი სურათი)	33
ჯებალ ქათამაძე — წიწამური (ლექ-	
სი)	43
ალექსანდრე ანანიძე — ფიქრები ბა-	
ზალეთის ტბასთახ (ლექსი)	44
ლევან ანანიძე — ცოდნის ტაძარი	
(ლექსი)	46

~~ამარის ურნეალ-გაზეთების გამოვიდობა~~

ମୁଦ୍ରା କରିବାର ପାଇଁ ଅନୁମତି ଦେଇଲାମୁଣ୍ଡର
ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ,
ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ, ଶବ୍ଦ,

მონილები

შოთა წოდე — პორტრეტი	47
ჯემალ ჩხეიძე — მადლიერების გრძნობით	53
ოური ბიბილეიშვილი — ეპოქის ზნეობრივი გმირი	58
რაფიელ შამელაშვილი — ერის სიმ- ღილრე და მშვენება	63
ჯემალ აბდუშელიძე — „შენ ჩაღას გენიას გეძახიან“	69
მიხეილ მშვიდობაძე — „ბუნებისა თოქვენის ვარ შვილი“	73
ნათია: ცოშაია — რატომ დაიხურა „საქართველოს მოამბე?“	76
შოთა ზაქარიაძე — მარად და ყველ- გან	79
მურმან მეგრელიძე — ღვაწლი არ- ტურ ლაისტისა	

კპალი ნათელი

რაჭან სურმანიძე — წერილები შაგ- შეთიდან	83
გასულ ორ თვეში	93

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე ცაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
აზიზ აბცლებიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ზოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
გიორგი სალუჩვაძე,
ჯვარ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ცრილონ ჩალვაში,
დავით ხასუტაიშვილი,
ჯვალ ჯავალი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71.

©

გადაეცა წარმოებას 10.8.87, ხელმოწე-
რილია დასაბუძალ 10.9.87, საგამოშ-
ცემლო თაბაზი 4/8, შეკვეთის № 2227,
ემ 02115, ქალაქის ზომა 60X901/ტ
ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამოცემლობათა
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აქარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი, ლუქსუმბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ერის მოძღვარი

შეცხრამეტე საუკუნის მეორე სახევარი უმნიშვნელოვანესი მოვლენებით აღინიშნა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. საუკუნეთა მანძილზე ცალკე სამეფო-სამთავროებად დაქსაქსული საქართველო ტერიტორიაულად კალავ გაერთიანდა. გაუქმდა ბატონყმობა და სულ უფრო მტკიცედ იყიდებდა. ფეხს ახალი სოციალური წცმილება — კაპიტალიზმი. ასეთ კართველობის შესხებით ბუნებრივივად წამოიჭრა კითხვა: რა უნდა ელონა ქართველ კულტურის, მოწელ ერს, უამისათვის. უკეთი რომ აეწყო, არ ჩამორჩენოდა სწვა ხალუებისა და განუხრელი პროგრესის გზით ევლო. და ქართველი ხალხის ბედნიერება იყო, რომ ამ დროს გამოუჩნდა სწორედ ისეით ლიდერი, როგორც ადგითარება მოითხოვდა, — ილია ჭავჭავაძე, ღრმად განათლებული, უნივერსიტეტი და მტკიცე ნებისყოფის მამულიშვილი, ძლიერი პიროვნება, რომელსაც ძალა შესწევდა ნაფიქრ-ნააზრევი. რეალურ საქმეებად ექცია. მან შემდინარე იკისრა მშობელი ერის წინამდებოლობა და საჯაროდ, კველას გამარჯონად განაცხადა: „ლმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვეძლვე წინა კრისა“. და მართლაც, არა მარტო ლიტერატურას, არამედ საზოგადოებრივიც ცხოვრების თითქმის ყველა სუვეროს დააჩნია თავისი მძღავრი გონიერობის კვალი. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ეროვნულ წამოწყებას, რომელიც ინიციატორი თუ აქტიური მონაწილე ილია ჭავჭავაძე არ ყოფილიყო. ამიტომაც უწინდეს ნას საქართველოს უგვირვევინო მეფე, საუკუნის ფაქტოს მცყრობელი.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო ილია ჭავჭავაძე, გარს რომ შემოიყრინა მთელი გუნდი დირსეული მამულიშვილებისა და შეიმუშავა დატერიტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო პროგრამა. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, — წერდა იგი, — ძისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ხალხის ცხოვრების „გამჯობინების“ სურვილითაა შთაგონებული იღია ჭავჭავაძის როგორც შხატვრული თხზულებანი („გლახას ნამპობა“, „გაცცრდა ადამიანი“?, „ოთარაანთ ქვრივი“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“ თუ ბევრი სხვა), ისე პუბლიცისტურ-ისტორიული ნაწარმოებები. მათში მკაფიოდ ჩანს სიძულვილი ექსპლოატატურული საზოგადოებისადმი საერთოდ და ბატონყმობისადმი გერმოდ. შემთხვევით როდი მოზდა, რომ სიტყვა

„რევოლუცია“ პირველმა იღდა ჭავჭავაძემ შემოიტანა ქართველ მწირულა აშკარა სამპათიაც გამოთქვა მისდამი. „სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს მკითხველო!“, — წერდა იგი „მგზავრის წერილებში“. — რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირ-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“.

განახლების, აღორძინებისადმი მისწრაფებამ, ექსპლოატატორული საზოგადოების სიმახინჯეთა გამომზეურების აუცილებლობამ განსაზღვრა იღდა ჭავჭავაძის მხატვრული მეთოდი — კრიტიკული რეალიზმი და ივა არის ამ ლიტერატურული მიმართულების მამამთავარი საქართველოში მანვე გადაუდებელ საჭიროებად სცნო სალიტერატურო ენის რეფორმა, მისი დაახლოება ხალხის სალაპარაკო ენასთან და საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას.

იღდა ჭავჭავაძის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ თხზულებებში ადვილი შესამჩნევია მისი ერთი არსებითი თავისებურება — კლასობრივად და პირისპირებულნი მორალურადაც უპირისპირდებიან ერთმანეთს და, ხაუროდ, ზნეობრივ პრობლემებს მწერალი ყველგან საგანგებო ყურადღებას უთმობდა. ესეც სავსებით კანონზომიერი ჩანს, რამდენადაც ზნეობაზე ბევრად იყო დამოკიდებული ქართველი ერის მომავალი. სწორედ ამიტომ იღდა ჭავჭავაძემ ახლებურად გაიაზრა მამულიშვილობა და მისი რაობა. მაულებული, ჭეშმარიტი პატრიოტი ის კა არ არის, ამტკიცებდა იყი, ვინც მშობლიური ხალხის მხოლოდ დირსებას ხედავს და თვალს ხუჭავს ზადხსა და მწიკვლზე. თუ მართლაც გული შეგტკივა თანამემაძულეთათვის, თუ მართლაც გსურს სარგებლობა მოუტანო ქვეყანას, ხალხს, კუთილი ინებე და კარგზე კარგი თქვი, ხოლო ავზე — ავი. „ჩვენ ქართველში გვაყირს მხოლოდ საკეთე, — წერდა იღდა ჭავჭავაძე, — სიცუდე კი ყველგან საჩიზდარია“ და პირში ძრახვედა მოვკარეს. ასეთი პოზიცია, მამულიშვილობის ასეთი გაგება, ცხადია, ბევრს არ მოეწონა, ეს რა პატრიოტობაა, ჩვენი ყველა ნაკლი საშეოზე გამოაქვს და თავს გვჭრისო. მავრამ დიდ იღდას მტკიცედ სჯეროდა, რომ მართალი იყო, ჭირის დამალება, ზაღის მიფუჩებება არსებითად ერის დალატს უდრიდა. „თვალებზე ხელის ჰიფარებას, — შეიიშნავდა იგი, — თავის დღეში არავისთვის ზეირი არ, მოუტანია. ჭირი დანახული სჯობს დაფარულსა, თუმცა ორივე ჭირია და არც ერთი არ არის სანატრელი“. დანახული სჯობს იმიტომ, რომ „სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავის დროზე გაუგო“.

ერის ერთი მთავარი სატკივარი კი, იღდა ჭავჭავაძის აზრით, ის იყო, რომ მის ზნეობას ბზარი შეეპარა. ზოგი ვინმე თავს იძიოთ იწონებდა, რომ ცოდვა არ ჩაუდენია, მაგრამ ეს სრულებითაც არ კმაროდა კაცური კაცობისათვის. „ჭეშმარიტი კაცობა არ-ქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ჭონაა მძღლისა“, ამბობს „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთი გმირი, მადლი ბრ

ქხებისათვის ზრუნვაა, იმის შეგნება, რომ „თვითოულის ინტერესი ჰა-
ჭოველთაო ინტერესზეა ზედგამობმული“. ბევრს არ ესმოდა ის „უბრალო
ჯეშმარიტება, რომ „პატიოსნება, კაი-კაცობა უფრო მგვიდრი გახმაა ადა-
ბიანისათვის, ვიდრე დროებითი ხეირი ავკაციბისა, რომელსაც, რაც უნდა
სთქვა, არც დიდი მანძილი აქვს ხოლმე და არც რიგიანი, უშიშარი გამო-
უწება“. და სწორედ აქ იღებდა სათავეს ისეთი ზნეობრივი მანვიერებანი,
როგორიცაა სიხარბე, შური, ეგოიზმი, სხვათა უპატიცემულობა და სხვა
სორტება.

ძარტო თავის თავისთვის ზრუნვა, ანუ, როგორც დიდი ილია ბრძანებ-
და, „პეს“ წარმოჩენა და „ჩვენას“ დავიწყება კიდევ იმათ არის ცუდი, რომ
ივი გავრცელების ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის პასუხისმგებლობის ზნეობ-
რივ ანტიპოდს — გულგრილობას. ეს საშინელი სენი — გულგრილობა, —
შენიშვნავდა ერის მოძღვარი, — ბოლო დროს შემოგვეპარა, თორემ ჩვენს წი-
საპრეპარაც რომ გულგრილობა გამოეჩინათ ყველაფრისადმი, „რაც პირდა-
პირ ჩვენ არ გვეხება, რასაც კი საერთო, საყოველთაო ფერი ადეკს“, უგ-
გური „მე“ გაებატონებინათ ძალგულოვან „ჩვენზე“, „სულს გავაფრიხი-
დით და ჩვენი ერი მტკვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ“.

ამ, ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ზნეობას ერთს ცხოვრებაში, იგი
ბევრად ვანაპირობებს ქვეყნის განახლებასა და წინსვლას. რაკი ამ ქვეყნად
მოღი, ადამიანად დაიბადე, უნდა კიდევაც გაამართლო ადამიანის სახელი,
დირსევულად შეასრულო შენი ადამიანური მოვალეობა. რა ოქმა უნდა, კვე-
ლამ ის უნდა აკეთოს, რისი უნარაც შესწევს, იმ საქმეს მოჰკიდის ხელი,
რასაც თავს მოაბამს, ე. ი. თითოეულმა ის უნდა მიიტანოს წუთისიფლის
სუფრაზე, რაცა აქვს — მეტი არც უნდა მოვთხოვთ. მადლი სომ მადლია,
დიდია თუ პატარა. ამას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როცა წერდა: „შე-
ძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე. კეთილი — სხვას ამის მეტს არა
სოხოვს ქვეყანა თავის შვილსა“. თითქოს ამაზე ადვილი რა უნდა იყოს, მა-
გრამ რამდენია ისეთი, დღენიადაგ იმაზე რომ ფიქრობს, სხვას რა და რო-
გორ წაგლიჯოს, ხელს არ შეაშველებს გაჭირვებაში ჩაგარდხილს. „სიტყვა
ხომ არაფერია და კაცს არაფრად ულირს, — ნათქვამია ამის თაობაზე „გლა-
ხის ნაამბობში“, — მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ მომმისათვის ესეც
არ ემეტება“. და ჩვენთვის გასაგებია მწერლის გულის ტკივილი, მისი წუ-
ხილი იმის გამო, რომ ამ ქვეყნად არც ისე ბევრია ადამიანი, რომელსაც
„არცოდვის“ საზღვარი შორს დაუკავდია და „მადლის“ საზღვარს მიახლოე-
ბია, მაშინ როცა „ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ქმნას, რისი შემძლეც არის,
ქვეყნიერობაზე უბედურნი არ იქნებიან“.

ილია ჭავჭავაძის დიდი დამსახურებაა, რომ მშობელ ხალხს ისიც
უთხრა, თუ რა გზით შეიძლებოდა ზნეობის ამაღლება-გასპეტაკება, რა
იყო მთავარი მიმდინარე მომენტში, რა უნდა უკეთებინა ქართველს რო-
გორც პირადად თავისი, ისე მთელი ერის კეთილდღეობისათვის. ერთ-ერთ

სტატიაში იგი წერდა: „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეატყობინებული ჟამი რას ითხოვს“, ჟამი კი, მისივე სიტყვით, მოითხოვდა და მოიტყობინდა და კველას ბეჯით, პატიოსან შრომას, რადგან შრომა არა მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს ქმნის, არამედ ზეციბრივადაც წერთნის ადამიანს, უნერგავს მას კეთილშობილურ გრძნობებს, მაღალ ბრძოლურ თვისებებს. ერთი სიტყვით, შრომა „პატიოსანია, ნამუსიანი და ისეთივე თავისონაწონებელი, როგორც უწინ იყო თოფისა და ზმლის ომი“.

შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ ილია ჭავჭავაძის შხატვრული ნაწარმოებების ყველა დადებითი გმირი, იქნება ის ოთარაანთ ქვრივი, მისი შვილი გიორგი, პეპია თუ სხვა, გლეხია, ე. ი. მშრომელია. ხოლო უარყოფითი ტიპები, როგორც, მაგალითად, დათიკო თუ ლუარსაბი, — თავადები, ე. ი. უშრომელი ადამიანები. ამით ხსნის მწერალი იმ ფაქტს, რომ ერთხი სულიერად მდიდარნი, ზნეობრივად სპეტაგნი არიან; ხოლო მეორენი, პირიქით, უზნეონი. მშრომელი კაცის ზნეობრივ უპირატესობას აღიარებს თავადი არჩილიც. მისი თქმით, ისეთ კაცებსა და დედაკაცებს, როგორც გიორგი და ოთარაანთ ქვრივია, მხოლოდ ხალხი სწნავს, მხოლოდ ხალხს შესწევს მათი შექმნის ღონე.

უაღრესად დიდ როლს ასრულებს შრომა მთელი ერის ცხოვრებაშიც ეს ქვეყანა, შენიშნავდა ილია ჭავჭავაძე, არც ოქროსა და არც ხმლისა, იგი შრომისაა. შრომამ თუ არ შექმნა, ვერც ხმალი მიიტაცებს და ვერც ოქრო იყიდის რაიმეს. და თუ მთელი რიგი ხალხების ბარტო სახსენებელი დარჩა, ეს იმით აიხსნება, რომ გუთანს, ე. ი. შრომას ხელი შეუშვეს, ან ხმალს მიენდვნენ, ან ოქროს, ერთი მუჭა ქართველი ერი კი გადარჩა — „ვა იმიტომ, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — რომ ერთს ხელში ხმალი გვკირავდა და მეორეში გუთანი დასაბამიდგანვე დღემდე“.

კიდევ უფრო გაიზარდა შრომის როლი ახალ დროში. „ქვეყანა ეხდა ამისია, — განუმარტავდა ილია ჭავჭავაძე ქართველებს, — ვინც ირჯება და გინც იცის წეზი და ხერხი კარჯისა“ და მხურვალედ მოუწოდებდა მათ: „გუთანი, ქართველებო, გუთანი, თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ“. უჯით და პატიოსან შრომას, მაშასადამე, თვით ჟამი მოითხოვდა და, თუ ამას ქართველი კაცი ვერ შეიგნებდა, ერის მოძავალს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრებოდა. „ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, შრომით და გარევით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოვგაცლის, სახელს გავვიქრობს, გავვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო სადღარს, სხვები დაეპატრონებიან“.

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძემ ისიც უწინდა, რომ შრომით ადამიანის დაინტერესებას ხელს უშლიდა, აფერხებდა ერთის ნაშრომის მეორისავას მითვისება და ამ სოციალურ უსამართლობით აღშფოთებული წერდა „ვინა შრომიბდა და ვინა პძლება, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?“. მა-

უსხადებე, საჭირო იყო „შრომის ახსნა“, ანუ მისი განთავისუფლება გამო-
ტალის ტყვეობისაგან, ამიტომ იყო, რომ დიდი იღია მიესალმებოდა შრომის
გის განთავისუფლებისათვის გაჩადებულ მოძრაობას: „შრომისა ახსნა — ეს
რის ტცირი ძლევამოსილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიადი ზორ-
თი მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის“. და როცა ეს მოძრაობა გაიმარჯ-
ვებო, დასძენდა იყი, „ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება
და ხათონება“.

„კაცთმოყვარება“ — ანუ ჰუმანიზმი იღია ჭავჭავაძეს ადამიანთა ხორ-
მალური კურსიერობას უთუ. პირობად მიაჩნდა და გმიბდა კაცის ღირსე-
ბის, მისი უფლებების რამე შეღანხვას. „ადამიანის ღარსება, პატიოსნება,
სინდისი მისი წხეობითი და ცირვასი კუთვნილება, და ყოველივე ეს ჰა-
ჰელმწიფოსეული, სეზაგადოებისაგან და ოკითიეული ადამიანისაგან პატი-
ოსტეული უნდა იყოს“, წერდა იგი და ამხილებდა ექსპლიატატორული
სახისა დოების ანტიჰუმანიზმს, სახელმწიფოსაგან ადამიანის უსაფრთხოების
ჩავრაპ. ფართოდ ცნობილ მოხსერობაში „სარჩობელ-ზედ“ ძაბ ბრწყან-
ვალედ ცხადყო, თუ როგორ ღუპავს ადამიანებს სახეგადოების გულგრი-
ლობა. თავისი წევრებისადმი.

როგორც ჰუმანიტეტი ჰუმანისტი, იღია ჭავჭავაძე იღაშქრებდა ფა-
ფლგვარი ძალმომრეობის, ძალის ყოველგვარი გაღმერთების წინააღმდევ
და უდიდეს ბოროტებად მიაჩნდა ომები და გამაღებული შეიარაღება,
ვითომდა მშვიდობის დაცვის ინტერესებისათვის. „ერთაშორისი დაუნდობ-
ლობა, ომები და სისხლის ღვრა კაცობრობის ბედნიერებისა და კეთილ-
დღეობის სულის შემწუთავი და დამღუპავია“, შენიშნავდა იგი და ნიღაბს
გლეჯდა მილიტარისტებს, რომლებიც გამაღებით იარაღდებოდნენ და თან
იფაცებოდნენ, „მშვიდობიანობის მეტი გულში არა გვიქვს-რაო“. საკვირ-
ველია, მაინც როგორ გვანან იმდროინდელი მილიტარისტები დღევანდელ
იმპერიალისტებს, რომლებიც „ძალის პოზიციას“ აფეტიშებენ, იარაღს
იარაღზე ახვავებენ და თან ირწმუნებიან, ამას მშვიდობის გულისათვის
გაკეთებთ. ასეთი შეთოვარაღებული მშვიდობა, იღიას თქმით, სიკეთე
გი არა, „ერთი დიდი უბედურებაა“.

მძ..სლიური ხალხის დაწინაურებისა და ბედნიერებისათვის რომ იღვ-
წოდა, იღია ჭავჭავაძე მარტი ჰოციალურ-პოლიტიკური პორბლებით
როდი იფარგლებოდა. იგი სათავეში ჩაუღვა ეროვნულ-განმათვალისუფლე-
ბელ მოძრაობას საქართველოში და ცოტა წვლილი როდი შეიტანა ეროვ-
ნული საკითხის სწორად გადაწყვეტასა და რუსეთის იმპერიის ხალხებთან,
პირველ რიგში კი დიდ რუს ხალხთან ურთაერთობის მოწესრიგებაში,
მათი მყვარეობის განმტკიცებაში იგი მოითხოვდა ეროვნული პობლემის
ცე გადაწყვეტას, რომ კველა ხალხს პქონოდა წინსვლისა და აღმავლობის
საჭირო პირობები.

თავად ჩაკრული ხალხის შვილს, იღია ჭავჭავაძეს მკრეხელობად. და

უკუნურობად მიაჩნდა საკუთარი ერის განდღება, მისი დირექტორის გარე
ვიაღება და სხვა ერების დადაბლება-უბატიცემულობა. „ყოველ წელს მარტი
რდა ივი, — თავისი საკუთარი სახე აქვს, საკუთარი კულისტება, თავისი
წალილება, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შევინება
ერთი იმისთვის სიბრივვეა, რომელიც გონება-გახსნილს ადამიანს არ ეპა-
ტიება, არ შეენდობა“. ბუნებრივია, რომ ამის გამო ილია ჭავჭავაძე ვალა-
ჭრით ვმობდა ეროვნულ ჩაგვრას, რასობრივ დისკრიმინაციასა და ჭოლო-
ნიალიზმს. როცა ინგლისმა პორტუგალიას კოლონია წაართვა აფრიკაში,
პორტუგალიამ დაჩაგრულის პოზა მიიღო და განაცხადა, სად არის სამარ-
თალით. ილია ჭავჭავაძემ დაწვრილებით განიხილა ორი ეკრობული სახე-
ლმწიფოს კონფლიქტი და დასკვნა: „ქვეყანაზე რომ სამართალი იყის,
ინგლისსაც პირმი ჩალას გამოაელებდა და პორტუგალიასაც. საიდანც
მოხულხართ, იქავ წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვოთ. იქაური პატრო-
ნები — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასა-
ვთ, მაგრამ სად არის ეს სამართალი?“.

ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ რომ გამოდიოდა, ილია ჭავჭავაძე
ამავე დროს დღენიადაგ ზრუნავდა ხალხთა მეცნიერობის განმტკიცებისათ-
ვის. იგი დიდად აფასებდა რუს ხალხს, მის მწერლობასა და კულტურას,
ხახს უსეამდა რუსული პროგრესული საზოგადოებრივი აზრის პეთალ
გავლენას ქართველ მოღვაწეებზე. ჩვენი, თერგდალეულთა თაობათ, წერდა
იყო, „ღმრთდილი და განსწავლული იყო რუსულ მწერლობა-მეცნიერებაში
და უცხო მწერლობაშიც, ისიც რუსულის შემწეობით“. ამიტომ იყო. რომ
ილია ჭავჭავაძეს სურდა რუსული ენა ყველა ქართველს საფუძვლიანად შე-
უსწავდა არა მარტო როგორც სახელმწიფო ენა, „არამედ იმისთვისაც,
რომ მისი ლიტერატურა ახლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან კონკუ-
რა-გახსნილს კაცს სულის საზოგოება მისცეს“. იგი ღონება არამც თუ
როგორც ძეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად პრმო-
ლისათვის. იგი ფარ-ხმალია ჩვენთვის კველაფერში და ყველგან“.

ქართველ ხალხს მხარი რომ გაესწორებინა მოწინავე ერებისათვის, თავად უნდა ყოფილიყო ერთიანი და სულიერად შეკვეთირებული. ამას ხელს უწყობდა საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, მტრების პიერ მიტაცებული უგველესი ქართული პროვინციების დედა-სამშობლო-სთან კვლავ შემომტკიცება. და როცა გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს დღის წესრიგში დადგა ე.წ. ოსმალოს საქართველოს, კერძოდ, აჭარის განთავისუფლება უცხოელთა ბატონობის უდღისაგან, ილია ჭავჭავაძემ ქართველობას მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიეღო განპათავისუფლებელ ომში. თუ იმისათვის, რომ ჩვენი ძმები ისევ შემოგვირდნენ, წერდა ლია ჭავჭავაძე სტატიაში „ოსმალოს საქართველო“, საჭიროა „სიხარულის ცრემლის უწინარეს ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უპუდრება, თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი

რელინჯადი თავი უწირავს ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“ სარწმუნოებრივი სხვაობა, შენიშნავდა იღია ჭავჭავაძე ჩვენ არ გვაშინებსო და დასტენდა: „ოღონძ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ უწოდეს ჩვენდა შევუძლეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი, ჩვენდა სასიქალუ-კილევ შევუძლეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი, ჩვენდა სინ-ლოდ, პლავ და უმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინ-ლის, და დიდი ხნის განშორებულ ძმას მმურად შეითვისებს“.

და ასეც მოხდა. ომის შედეგად დაზარალებულ აჭარას, იღია ჭავჭავაძის მოწოდებით, მოელმა საქართველომ გაუწოდა დახმარების ხელი. დი-ვაძის მწერლის ძონდომებით მალე ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული დი მწერლის ძონდომებით მალე ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული დი კუთლა, გისივე იაიციატივითა და თანადგომით თავი მოება ბევრ სხვა პატ-რიოტულ საქმეს. გამართლდა მისი იმედი, მისი ღრმა რწმება და ქართვე-ლმა კაცმა მოელ ქვეყანას უჩვენა, რომ კაცომოყვარეობა მისი თვისებაც არის, ძმათა სიყვარული ჩვენშიც ისევე ყოვლისშემძლეა, როგორც სხვა-ვან, „მშობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სატყვა არ არის ქართველისათვოს“.

ასეთსავე მშობლიურ მზრუნველობას იჩენდა იღია ჭავჭავაძე საქარ-თველის ყველა კუთხისათვის, ქართველთა სულიერი შეკავშირებისათვის. ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ 1879 წელს იგი კმაყიფილებითა და ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ 1879 წელს იგი კმაყიფილებითა და ტრიკიც რწმენით წერდა, რომ ქართველთა ურთიერთ „მშობაში გამოიკვან-და ჩვენი ბედი, ამ მშობაში ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს“. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ახდა დიდი მწერლის წინასწარმეტყვე-ლება — საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხეში ძალუმად ჩქეფს ცხოვ-რება. ტაობამ თავისი კვირტიც გამოიტანა და კეთილი ნაყოფიც გა-მოიღო...

ერთხელ იღია ჭავჭავაძემ ბრძენი სენეკას სიტყვები დაიმოწმა „ოპ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არა-მედ მარტო თავისის სახელის სენებითაცაო“. და მარტლაც, ბედნიერია ის მოღვაწე, რომელიც თავისი სახელის სენებითაც კი წვრთნის მოელ-თაობებს, შთამომავლობას და ის ერიც, რომელიც ასეთ მოღვაწეა წარ-მოშობს.



პიაპ, ქართველო მაგაზეთევ...

„ასე შეწუხებული ვართ.. აგი ჩემი
სიტყვა... შენს გაზეთში ჩასწერე, ჩემო ძიავ
ბატონო“.

გულო-ალა კაიკაციშვილი, „დროება“,
1875 წ.

ძიაპ, ქართველო მეგაზეთევ,
ძიავ მამავ და პატრონო,
ჩვენი ამბავიც გააქვეყნე
მაგ შენი გაზეთით, — ბატონო!

სამშობლო გროშებზე იყიდება,
ნამუსი სამასხროდ გაგვიზღია,
ხელები გულებზე დაგვიკრიფავს,
მკლავებზე ბორკილი დაგვიდია,

ვაჟკაცი კონახში უმალება,
ქალ-რძალი ფანჯრიდან იმზირება,
ფილითას ეშმაკი ჩაუსახლდა,
მაცდური ფარფაშით იღიმება.

ძიავ, ქართველო მეგაზეთევ,
ძიავ, მამავ და პატრონო,
სიტყვა — იმედი მოგვაშველე,
უწმენა გავინუდლე, ბატონო,

მოძალე ღმერთის წინ დამაჩოქეს,
მშობლიურს ვერაფრით დავატოლე,
ცრემლი ყაბალახში გამოვკონე,
დარდი თუთუნივით გავაბოლე...

წავალ და სად წავალ, დავბრუნდები,
სამშობლოს მინდვრებში ავქროლდები,

მტირალა ღრუბლებში გვეურდები,
 ცითუარ ტყეებში ჩავბოლდები.

გინდ სისხლიც ცრემლივით დამწურვდა,
 ქა მსრები სინაულს დაეჭელა,
 მე ვერა, ბატონო, სამშობლოდან
 ვერ წავალ სამართლის საძებნელად...

ძიავ, ქართველო მეგაზეთევ,
 ძიავ, მამავ და პატრონო,
 ჩვენა არბავაც გააქვეყნე
 ძავ შევა გაზეთით, ბატონო.



ჩვენს სიცოცხლეს აჯ უჩეფნია

შემოღომის მიწურული იდგა. მტკვრის ხეობაში ღრუბელი ჩამოწოდილი იყო. ცივი ჭარი ქროდა. მზე ხანდახან გამოიჭვრეტდა და ოქროსფერ ახივებმი გაახვევდა ნარიყალას. საკვამურებიდან ბოლქვებად ამოდიოდა შავი კვამილი.

„ივერიის“ რედაქციაში მრგვალ მაგიდას საქვეყნო საქმისათვის შეკრებილნი მისხდომოდნენ და ილიას თავკაცობით მოურმენლად ელოდნენ სხდომის დაწყებას.

კარი გაიღო და მოღიმარი ილიაც შემოვიდა, საყოველთაო სალამი წარმოთქვა, სამუშაო მაგიდას მიუახლოვდა, ქაღალდების შეკვრას ხელი წამოავლო და მრგვალ მაგიდასთან ადგილი დაიკავა.

— მამაზიეთ, ბატონები, სტაპბაში გეახელით, ძველი მაჩქანა მოსვანებას არ გვაძლევს... როგორც ხედავთ, მდგომარეობამ მოითხოვა კვლავ შევერტებილიყავით, ვხედავ, აკაკი არ გვესწრება, მიზეზს ხომ ვერავის გვატყვეს?

— ბატონი აკაკი საჩხერეშია, გაცივებულა და ექამები ადგომის ნებას არ აძლევენ! — ხმადაბლა წარმოთქვა სერგე მესხმა, რომელსაც განიერ შუბლზე ჭაღარა თმის კულულები ჩამოშლოდა, ფერმკრთალ სახეზე დაღლილობის კვალი ემჩნეოდა.

— რაღა გაეწყობა, უძინოსოდ უნდა ვითათბიროთ! — თქვა ილიამ და იქ შეოფუთ თვალი მოავლო.

— აგრე აჯობებს, აკაკისა და ჩვენი აზრი რამ გაყო! — დაადასტურა გიორგი წერეთელმა, რომელსაც პოვრძო წვერ-უღვაშმი შავი არსად ემჩნეოდა. ხშირ, გათეთრებულ თვალ-წარბს სათვალე უზარავდა.

— თქვენმა წერილმა „ოსმალოს საქართველოს“ შესახებ, ბატონი ილია, შესძრა ქართველთა გული.

— ღმერთსაც ექნას! სამხრეთ საქართველოს გამოხსნაში ქართველ სალტენ გამოფხიზლება სჭირდება, თქვენმა „დროებამაც“ უნდა აგვიბას მხარი.

— რა თქმა უნდა, ჩემო ბატონო. ერთ კვირაში ამ საკითხზე ჩვენი გაზუთი წერილებს სისტემატურად გამოაქვეყნებს! — თქვა სერგეი მესხმა და ილიას ვაღიმებით შეხედა.

— ბატონებო,— კვლავ დაიწყო ილიამ და ყრუდ ჩაახველა,— მინდა სახი-

ხარულო ამბავი გაუწყოთ. გუშინ ოსმალოს საქართველოდან, ბათუმის დრუნები ბრუნენა ჩვენი წარგზავნილები: გენერალი გიორგი ყაზბეგი, იქმატებული სელიძე და მიხეილ მეფისაშველი. მოკლე დროში ისინა თქვენს წინაშე წარმოსდგებიან და დაწვრილებით გეტყვიან ყველაფერს. დიახ, როგორც გიორგი ყაზბეგმა მიამბო, ოსმალოს საქართველოში აქედან ჩასულებს თურქი ხელასუფალნი ეჭვის თვალით უცემიან. ასე რომ, ჩვენებისათვის მგზავრობა აღვილი საქმე არ აღმოჩნდა. შეკვეთილის კორდონიდან, ბათუმის კაიძაგამის ნებარვით, ჩვენ წარგზავნილებს კინტრიშის საბატონოში დაუღიამო ფეხი, შეხვედრიას, ქობულეთის ბეგებს, როგორც იქანებ მთხრა, მ მჩარეში თურქული არსად ისმის, ყველა ქართულად მეტყველებს.

— აი, ჩვენი ნუგეშიც ეს არის! — წამოიძახა გიორგი წერეთელმა.

— დიახ, ბატონებო, ნუგეში და მერე როგორი!.. ბათუმის კაიძაგამი ძალიან შეყვნებულა, როცა ჩვენებს ქედასა და ხულოში წასვლის ნება უთხოვათ. ტრაპიზონის ფაშის ნებარვას ოცი დღე დაგვიახება. მანამდე მათ გაუცნიათ ქართველი ბეგები, რომლებსაც დიდი პატივით მიუღია ქართველი მმები. სასიხარულოა ის ამბავი, რომ ბევრ მათგანს ქართული დარიცე შერჩენა.

— მაპატივით, თავადო, კინტრიშის საბატონოში ეს ჩვეულებრივი მოვლენა და გასაკვირიც არაფერია, — ჩაერია ლაპარაკში გენერალი გრიგოლ გურიელი, რომლის მიმზიდველ სახეს შვენიდა დაშვებული შავი უღვეშები და არწივისებური გამოხედვა.

— დიახ, ბატონებო, როგორც ივანე კერესელიძემ მიამბო, ქვედა და ხულო შხელოდ ქართულად მეტყველებს, გავიგეთ ისიც, რომ აჭარის გემბეგელი შერიფ-ბეგ ხამშიაშვილი თავისი ქვეენისა და ერის შოფვარელია. ეგი ღიდად გახარებული ყოფილა ქართველი მმების სტუძობით. როცა რისოფლი მომავალ ომზე ჩამოუკდიათ ლაპარაკი, ასე უბრძახებია: „ვარგი იქნება, ბატონებო, აჭარა თუ დაუბრუნდება დედა საქართველოს“.

— როგორ, ბატონო იღია, ამის თქმაც გაბედა შერიფ ბეგმა?!

— დიახ, გაბედა, მეფისაშვილს ენდო და გაბედა, პაგრამ ქობულეთის ბეგებს თავი შორს დაუჭერიათ. როგორც გავიგე: თავდგირიძეებს ახლო ხაოესავები ჰყოლიათ გურიაში, ამის შესახებ ბატონ გრიგოლს ეცადინება.

— კი, ბატონო, აღდძბრელი და გურიის თავდგირიძენი მმები არიან.

— ესეც ქარგის მომასწავებელია, გენერალი, — დაუშატა გიორგი წერითელმა.

— სწორი ბრძანებაა, ბატონო გიორგი, მაგრამ ოსმალოს სულთანისა და მის ფაშებს აქვთ უმგაცრესი კანონი, რომელსაც დაპყრიბილ მსახურში ყველაზე მეტად ახხორციელებენ. — თქვა გრიგოლ გურიელმა და უღვეშებზე მარჯვენა ხელის მტევნაზი ჩამოისვა.

— ბატონებო, საქმე ისაა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყება. ვა-

რდაუგალია და ჩვენი დღევანდელი შეკრუბის მაზეზი სწავლების შესახებ, — განაგრძო ილიამ, — დიახ, თუ ოსმალეთის მთავრობის, მცხოვრილობის ქართველი მაპმადიანები რუსეთის არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიწვია, სისხლი ბლომად დაიღვრება, ამიტომ ჩვენი ვალია ვიჟიკროთ ჩვენს ძმებზე — ქართველ მაპმადიანებზე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აჭარა-ქიანულეთის ბეგებმა არ გაიწვიონ ისინი ორში. პირველ რიგში მოლაპარაკება ქობულეთის ბეგებთან უნდა გაიმართოს, დიახ, უნდა შევარჩიოთ ისეთი კაცი, რომელიც საერთო ენას გამონახავს თვალგირიშებრივად.

— ისევ კუნერალი ვიორგი ყაზბეგი ხომ არ გაგვეგზავნა!? — ციტა აუმილის შემდეგ თქვა ვიორგი წერეთელმა.

— მეფისაშვილი აჯობებდა. — დაუმატა სერგეი მესხმა.

— თქვენს მიერ დასახელებული თავადები დიდად გამოცდილები არიან, შავრამ ამ შემთხვევაში აჯობებდა სხვა კაცის შერჩევა კფიქრობ, ამ საქმის მოგვარებას ისევ გრიგოლ გურიელი შესძლებს! — გაღიმებით თქვა ილიამ და გრიგოლისაკენ გაიხედა.

— მართალი ბრძანებაა, გენერალი გრიგოლი რაღას გვეტყვის! — წამოიძახა სერგეი მესხმა და თვალები გაუბრწყინდა.

— რაკი, ბატონებო, ილიას და თქვენი არჩევანი ჩემზე შეჩერდა, შევცდები. წინასწარ იმის თქმა შემიძლია, რომ ქობულეთის მხარეში ბიძა მყავს, გვარად ჯაში, ნახევრად მის ოჯახში გავიზარდე, ჩავალ ბიძაჩემიან და მისი დახმარებით ვინახულებ ქობულეოს ბეგებს.

— გადაწყდა, ბატონებო, ღმერთმა ხელი მოვგიმართოს ამ საქმეში და ვახსნათ ჩვენი ძმები სისხლის ღვრისაგან... ახლა კი მინდა ერთია ამბავი: კიდევ გაუწყოთ. სახელდობრ ისა, რომ სამხრეთის ჯარების სარდალს ვერერალ ოკლობების სურს ქართველი მოხალისეებისაგან. ასე კლება შეადგინოს და გამათავისუფლებელ ომში ქართველებს აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს. მოხალისეებიც ბევრი აღმოჩნდა. ყველა კუთხიდან შეკროვდნენ, ოზურგეთის მაზრიდან სამი ათასი კაცი შეიკრიბა, მაგრამ სარდლობამ ათასი მოხალისე დატოვა, ამის შესახებ გენერალი გვეტყვის შველაფერს!

— მაპატიეთ, რაკი ომი იწყება, „კვალს“ თავს ვანებებ და რუსთა მხედრობაში სამხედრო კორესპონდენტად მივდივარ! — წამოიძახა გიორგი წერეთელმა.

— რას აძიობ, ვიორგი, შენი წლოვანება ხომ არ გავიწყდება? — გაუკირვებით პკითხა ილიამ

— ოღონდ ოსმალოს საქართველო, აჭარა თავისუფალი ენახო და თავს დაარ გნადვლობს!

— სამხედრო კორესპონდენტად ახალგაზრდა აჯობებდა, „კვალს“ თქვენისთანა პატრონი სჭირდება! — დაუმატა გენერალმა.

— არა, ჩვენი ჯარები ბათუმში რომ შევა, იქ მეც უნდა ვიყო! ჩატორი ჩემით თქვა გიორგი წერეთელმა და სათვალე მოიხსნა. გიორგი ბატონიშვილი

— ბატონო იღია, გიორგი რაკი გადაწყვიტა, აღარ გადათქვაძე! — საერთა საუბარში სერგეი მესხი.

— რაკი ასეა, მწერლის ჯანმრთელობის საქმე ბატონ გრიგოლს მივანდოთ, გაუფრთხილდეს გიორგის და ამყოფოს თავის გვერდით! — დანჯად წარმოიტქვა იღიამ და გრიგოლს ალექსიანი თვალები შიაბყორ.

— ბატონო გენერალო, გისმენთ, გვაუწყე რამე მოხალისეთა პირობების შესახებ — უთხრა სერგეი მესხმა.

— მე სამხედრო პირი ვარ და წინასწარ ბევრის თქმა აკრძალული მაქეს... იმი კი გაზაფხულზე დაიწყება. ოკლობებიომ სამხედროს ჯარების შტაბის უფროსად გენერალი გიორგი ყაჩბეგი დანიშნა. მოხალისეებისაგან შედგა. თეხი ასეული, რომელსაც დაემატა ასამდე გამოცდილი მეპრძოლი. უკვლ ასეულს მეთაურად დანიშნა ქართველი ოფიცერი. ტანსაცმელი მოხალისეებს თავიანთი ეცმებათ, ფარავების მაგივრად ნაბადი, ქუდების ნაცვლად ჩიაბალახი. დამბაჩებიც თავისი ექნებათ, თოფებს კი სამხედრო ნაწილი მისცემს. კვება ჯარისაა, შეუძლიათ ატარონ საჯალები და სატევრებიც ჭრილებს სისტემის თოფის ხმარას გაზაფხულამდე აითვისებენ. უბრალო მოხალისეს თვეში ეძლევა ხუთი მანეთი, ურიალნიკს — ათი, ხოლო განტიმისტრს — ოცი. — თქვა გენერალმა.

* * *

„რა ბედნიერება გველირსა, ბათუმში მატარებელი შემოვიდა. მენ, დაიღორცე, გიორგი, მუშათა არტელით რომ სადგურის აგებაც მოაწარი, ზვალ ჩვენ დარიბ ქალაქს ესტუმრება კაცი, რომელიც უძილო დამებებს უთვეს ჩვენს სწერ ქვეყანას. ოპ, რა ბედნიერი ვარ, „კაკი ყაჩალის“ „პაცია ადამიანის“, „ოთარაანთ ქვრივისა“ და „გლახის ნაამბობის“ ავტორს ჩვენი თვალით ვნახავ. პო, ქეთევან უურულო, ხვალ გექნება ბედნიერება დადი ლინკ ინხულო!“ — ფიქრობდა ბათუმის პოლიცმებისტერის მეუღლე ქეთევან უურული და გრიგოლ ვოლსკის ბინას ალაგებდა. ამ დროს კარები გააღო და ოთხში გრიგოლ ვოლსკი შემოვიდა. დაინახა თუ არა ქეთევანი, სიპარულისაგან თვალები გაუბრწყინდა, სახე გაებადარა და წამოაძახა:

— ოპ, ქალბატონო ქეთევან, როგორ გამახარეთ, დალაგებაც მოგისწიოთ, ალბათ, გაიგეთ, ხვალ დილით იღია ჭავჭავაძე ვავესტუმრება.

— ვავიგე, ბატონო, ვანომ მითხრა.

— იად არის ვანო, იგი ძალიან მჭირდება.

— საღამომდე ვერ მოვა, ნავსაღვურში ოთხი გემი დგას, ყველას წყალი უნდა მიაწოდოს.

— ქეთილი და პატიოსანი: ხვალამდე დიდი დროა, აღიას ხასიათს კარ-

გად ვიცნობ, სასტუმროში გაჩერებას არ ისურვებს, ჩემთან [შექმნა] მაღლობა ღმერთს, გამონახა დრო და ესტუმრა ბათუმს, მისი ჩამოსვლა ბევრ სასიკეთო საქმეს მოასწავებს, გავრონსკიმ რაღაც იყნოსა და აღრენალია.

— ვიცი, ჩემო კარგი, მეუღლემ მითხრა.

— პოლიცემისტერს, აბა, რა გამოეპარება.

— მაღლობა ღმერთს, ჩემი ქმარი ისეთი კაცი არ არის, გავრონსკისა და გაიძვერა პალმის მხარე დაიჭიროს.

— რას ბრძანებო, ქალბატონო, სწორედ ამიტომ ვაფასებთ თქვენს შეუღლეს.

— ეს ყველაფერი კარგი, გრიგოლ, მაგრამ, ბატონ ილიას რესტორანში ხომ ვერ წაიყვანთ, პროდუქტებს მოტანა უნდა.

— ოღონდ თქვენ გაისარჯეთ და საღამომდე ყველაფერი ადგილზე იქნება.

— არა, ყმაწვილო, როდემდე უნდა იყო ასე სხვისი მოიმედე, მარტო ივანე გოგეიშვილის სამსახური არ კმარა, ოჯახს ქალის ხელი სჭირდება, დროა დაოჯახებაზე იფიქრო!

— მაგაზე შემდეგ, ქალბატონო ქეთევან, ახლა ხვალინდელ სტუმარზე ვიუიქროთ! — ღიმაღით წარმოთქვა კოლსკიმ! მოკლე წვერზე ხელი ჩამოიხვა, ქეთევანს გაუღიმა და გავიდა.

„აქ, როგორ მეცოდება ეს ბიჭი, რა ნიჭიერი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ქალაქის საქმეები სულ მაგის კისერზეა... ხელი ილია რემ გვესტუმრება, გრიგოლის ლექსი „შენ გეტრფი მარად“ გიტარაზე უნდა დავამდერო!“ — თავისითვის ჩაილაპარაკა ქეთევანმა და ახალგაზრდა ბული ფარდების დაკიდებას შეუდგა.

ორმოცდაათ წელს მიღწეული ქალი იყო ქეთევან ურული, თმებმი ჭაღარა ჭარბად ერია, მიმზიდველ სახეზე ნაოჭებიც შეპპარვოდა, იგი მოუსვენრად საქმიანობდა, გვიან საღამომდე სახლში არ წასულა.

შეორე დიღა მზიანი და წყნარი გათევნდა, მტირალას მთებზე თეთრი თოვლი ბზინავდა, მოლივლივე ტალღები შეუილით ევლებოდნენ ზღვის ნაპირს. ქუჩაში ეტლების გრიალი და ცხენების ფლოქვების თქარუნი ისმოდა. ქეთევანი გრიგოლ კოლსკის ბინაზე ადრიანად მივიდა, იქ იკვენ გოგეიშვილი დახვდა, მაგრამ ჩქარა წავიდა და მაღე კარები გრიგოლ კოლსკი შემოადო.

— ქალბატონო ქეთევან, რომ იცოდეთ, რა კარგი ხართ! გაიგებდით, ილია ჩამობრძანდა, აი, მისი ჩანთაც. ჯერ აქ ვერ მოვა, ბაზიოლის სახლში ქართული სკოლა ინახულა. აჭარელი შევირდების ნახვით დიდად ნახიანივნები დარჩა. ახლა გავრონსკისთან ერთად სკოლის შენობის ახაგები ადგილი უნდა შეარჩიოს. გააძვერა ქალაქის თავს არ მოსწონს ეს მშავი, მაჯრამ ილია ხომ სათათბირო საბჭოს წევრია, ხმას ვერ დაძრავს.

— ახლა ნახე პალმის გაცხარება! — ღიმილით წარმოთქვა ქეთვეკნდა.
— პალმისა და რაღცევიჩს მე მოვუვლი, ამას წინათ მე და საჯაფ-
ებ აბაშიძემ ცუდი დღე დავაყენეთ... იცით, ქეთვევან, ართვინის გზატკერ-
ლოან ანტონ ზურაბაშვილი ტბის ამოშრობას და ქართველი კათოლიკები-
სათვის ტაძრის აგებას ფიქრობს.

— რას მეუბნები, გრიგოლ, ოღონდ ეს ტბა ამოაშროს და სხვა არაფე-
რი მინდა, შეგვჭამა კოდოებმა, ოთახის ფანჯრები ვერ გამიღია.

— ხომ არაფერი გვაკლია? — იკითხა გრიგოლმა.

— არა, ყველაფერი მოტანილია, დავით კლდიაშვილი იყო, ილიას ჩა-
მოსვლა რომ გაიგო, სიხარულით ცას ეწია, იცი, ძალაან გამოიცვალა და-
კითო, აითქმის აღარ უჭირს ქართული ლაპარაკი!

— ეს ნამდვილად თქვენი წყალობით, ქალბატონო. სცენისმოყვარეთა
დასში რომ არ ჩაერიცხათ, ამდენს ვერ მიაღწევდა.

— იცი, გრიგოლ, ილიას ახალაგებული ქართული ეპლესია უნახავს,
მემდეგ მეჩეთისაკენ წასულა, ეზოში თავმოყრილი აჭარელი თავკაცები გა-
უცნია და გენერალ გრიგოლ გურიელთან ერთად მათონ ხანგრძლივი ჰა-
უბარი გაუმართავს! — ღიმილით წარმოთქვა ქეთვენმა.

— ბიჭოს, თქვენ ჩემზე მეტი გცოდნიათ.

— ჩემი მსახური მოვიდა და იმან შემატყობინა.

— საინტერესოა, ბეგბიძან ვინ შეხვდა ილიას?

— ყოფილან დურსუნ აბაშიძე, ნური შერვაშიძე, ხასან ბეჭანაძე და
სხვები... — ქეთვენმა ლაპარაკი ვეღარ დაასრულა. მარცეს ქუჩაზე კტლის
ხსაური და ცხენთა ფლობების ხმა თანდათან მოახლოვდა. მალე სტუმრე-
ჲი ჭიშკარს მოადგნენ.

მასპინძლები სიხარულით შეეგებენ ილიასა და გრიგოლ გურიელს.
ასინი ხელზე ემთხვივნენ ქეთვენს, ოთახში შევიდნენ და სავარძელში ჯა-
ნხდნენ. სასადილო ოთახში სუფრა სანახევროდ გაწყობილი იყო.

— ბატონო გენერალო, ბათუმის სახე ჩემთვის დღესავით ნათელია,
ჩვენძა გრიშამ, საგურამოში ყოფნისას, დაწვრილებით ამიწერა ყველაფე-
რი, დღეს კი საკუთარი თვალით ვნახე. მაინტერესებს, რა მდგრმარეობაა
კინტრიშის ძაზრასა და აჭარაში?

— ბატონო ილია, თქვენც დაბეჭდეთ „ივერიაში“ და მეც მინდა დავს-
ძინო, ამ კუთხემ, ომის გამო, ყველაზე მეტი ზარალი განიცადა. ამიტომ
ქართველი ხალხის მიერ შეგროვილი ფულის უმეტესი ნაწილი კინტრიშის
სოფლებში დავარიგეთ, რაც შეეხება სკოლის გახსნას, ჯერჯერობით საგუ-
რარი სახსრები მეყო, ერთ წელიწადს სკოლის ხარჯს მე გავიღებ.

— დიდად გმადლობთ ამ სიკეთისათვის, ბატონო გრიგოლ, ისტორია
ას დაივიწყებს ამ სიკეთეს, — წარმოთქვა ილიამ, სავარძლიდან წ. მოდგა
და გენერალს ხელი გაუწოდა.

— ბატონო ილია, სკოლის შენობა თუ გვეღირსა, უფრო გამჭალვილების
საბ, საბ, რესპუბ, გიმართება.

დება, მაშინდანი მოზარდების სკოლაში მოზიდვა. — ჩაერია საჭარშე გადა
გორ ვოლსკი.

— ეგ თავისთავად ცხადია, ჩემო გრიშა, იცოდეთ, წერა-კითხვის გამა-
ვრცელებული საზოგადოების თვალ-ყური იქითგენ იქნება, საქმის მცდე-
ლობას კი თქვენ ხელს არ მიაკლებთ.

— ვთხოვთ, ბატონებო, სადაცაა სამი საათი შესრულდება, სადიღი
დაგვანდა! — წამოიძახა გრიგოლმა და სტუმრები მაგიდასთან მიიწვია.

— რაკი ბათუმში ჩამოსვლა მოვახერხე და სკოლის აგების საქმე გადა-
ვწყვიტეთ, არ შეიძლება მეორე მნიშვნელოვანი საკითხის გამო არ ვიზრუ-
ნოთ... ჰო, სად არის ჩვენი ოფიცერი? — იკითხა ილიამ.

— დავით კლდიაშვილი, ბატონო ილია, საღამომდე ვერ გეახლება, თ
ლეგიონში მორიგეა, პოლკოვნიკი ვეზირიშვილი ისეთი კაცია, რასთან
არავითარი თხოვნა არ გადის. — მიუგო გრიგოლ ვოლსკმა.

— ეს რომელი ვეზირიშვილია? — იკითხა ილიამ.

— ჩვენი სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე, რომე-
ლიც არაუერში არ ჰგავს თავის ცოლისძმას.

— ტატო სულ სხვა ახალგაზრდა იყო. — დაუმატა გენერალმა.

— როგორ, იცნობდით? — ჰკითხა ილიამ.

— ერთ მერხს გუჯექით, ოზურგეთში ჩემს ბიბლიოთეკაში ახლაც
შაქეს შენახული მისი ორი ლექსი, — მიუგო გურიელმა.

— წარსული მკვადრი საძირკველაა აწმყოსი, როგორც აწმყო მომაუ-
ლისა. ჩვენი უბედურება ისაა, რომ არ ვაფასებდით წარსულს და ისეთ
ნიჭიერ პოეტს, როგორიც ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, მაგრამ რას იზიძ,
წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის მამინაცვალი. — თქვა ალიამ.

— თქვენ რომ არა, ბარათაშვილი ერისთვის დაკარგული იყო, —
უთხრა გრიგოლ ვოლსკმა.

— ესეც შემთხვევის საქმეა, ბატონებო, უფრო სამეცნიელოს დედო-
ფალს ეპატერინე ჭავჭავაძეს უნდა ვუმადლოდეთ, — ნაღვლიანად წარმო-
თქვა ილიამ და ქეთევანს შეხედა.

— ბატონებო, თქვენი საკადრისი არაუერი გვაქეს, მაგრამ ვიცი, ჩხა-
ვერის დვინის დალევაზე უარს არ იტყვით, — თქვა ქეთევანმა და ლვინით
საქე ხელადები სუფრაზე ჩადგა.

— თქვენებურ კანურ ლვინის ვერ შეედრება, მაგრამ დასავლეთში
სხავერი და ოვალეში მაინც გამოირჩევიან, — დაუმატა გურიელმა და თასი
შეავსო.

— ბატონო ილია, ვთხოვოთ ბატონ გრიგოლს, უთამადოს ჩვენს პატ-
რა სუფრას, — თქვა გრიგოლ ვოლსკმა და თასი ასწია.

— არა, ბატონებო, ვიჯდე სიტყვის მეუფის გვერდით და თამადობა კუ-
პრიო, ნამდვილად უხერხულია, — თქვა გენერალმა.

— ბატონი გრიშა მართალია! ბატონი გრიგოლი გენერალიც რომ არ

ეფს, დიდი თავადია, გურიის უკანასკნელი მთავრის ვახტანგ გურიელის შვილია. სიამოგნებით ვადღეგრძელებ მას თამადად! — წარმოქვედ ილიშ და თასი დასცალა.

— ბატონო ილია, ბატონებო, — დაიწყო გურიელმა, — ნეტარსხესნებულ-ს გიორგი ერისთავმა ქალაქს, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, „პატარა ყარიბა ბათუმი“ უწოდა, ჩვენ გვწამს, რომ მას ბედნიერი მომავალი ექნება, ცოდეთ, რომ ყველა სასიკეთო საქმე ბათუმისა და ქართველი მაჰმადიანებისათვის ამ ბინაში წყდება. ქალბატონმა ქეთევნმა აქ შეკრიბა პირველი ქართული დრამატული წრე. ჩამოსული თუ ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანი ყველა გრიგოლ ვოლსკან მოისწრაფის, ყველა საქვეყნი საქმეს მი ბანის ჭერქვეშ ყყრება საფუძველი, მაგრამ დღეს თქვენმა სტუმრობამ ეს ჭერი კიღევ უფრო ზევით ასწია, თქვენს ჩამობრძანებას გაუმარჯოს, სატონი ილა.

— დღეგრძელი იყოს ილია ჭავჭავაძის სტუმრობა ბათუმში! — წარმოთქვა გრიგოლ ვოლსკიმ და გურიელს ჸიქა შეაგება.

მეორე ოთახიდან ქეთევნმა გიტარა გამოიტანა და გრიგოლ ვოლსკის ღექის „შენ გეტრფი მარად“ მომხიბვლელად იძლეორა.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ქეთევნმა გიტარა დასდო და კარებს შიაშურა.

— მობრძანდათ, მობრძანდით ბატონებო, ძალიან გაგვახარეთ თქვენი სტუმრობით! — გაასმა ქეთევნის ხმა, იგი ნური და დურსუნ-ბეგ აბაშიძე-ებს ოთახში შეუძლვა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და სტუმრებს მიესალმნენ.

— გვაპატიეთ, ბატონებო, უდროთ ჭროს შემოვიშერით, მყუდროება დაგირღვიეთ, ნასწავლი ხალხი, ვან იცის, რაზე არ მსჯელობდით! — თქვა ღურსუს აბაშიძემ.

— მირიქით, ბეგებო, თქვენი სტუმრობით ძალზე გაგვახარეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონი ილია და გენერალი დიდად მოხარულნი არიან თქვენა აქ მოსვლით, დაბრძანდით, ბატონებო! — უთხრა გრიგოლ ვოლსკმა და სტუმრები თავის გვერდით დასვა;

— ბატონო ნური, ბატონო დურსუნ, კარგ დროს მობრძანდით, აიღეთ ჸიქა და გვადღეგრძელეთ ჩვენი სასიქადულო სტუმარი, საქართველოს ძამად წილებული ილია ჭავჭავაძე. — უთხრა აბაშიძეებს ქეთევნმა.

— ბატონო ილია, ბატონო გენერალო, ღმერთს გევიცებათ, არ ვიცოდით, აქ თუ ბრძანდებოდით, თორემ მოსვლას როგორ გავტედავდით, ჩვენ ბატონო ილია, გავიგეთ თუ არა თქვენი ჩამობრძანება, თავი მეჩეთის ეზოში მოვიყარეთ. თქვენმა იქ გამოჩენამ და სიტყვამ დიდი სიხარული მოგვაგურა, რა დაგვაგიწყებს თქვენს სიტყვებს. „ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და სორცისანი. ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიის მქონენით“, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს თქვენი თავი, გულით გადღეგრძელებთ,

განგებას ვეჯებით, ჩვენდა იმედად დიდხანს გაცოცხლოს! — წარმოთქმა
დურსუნ აბაშიძემ და დაჯდა.

იღიას სადღეგრძელო შესვეს გრიგოლ ვოლსკიმ, ნური აბაშიძემ და
ქეთვანმა, იღია ფეხზე წამოდგა, სასმისი ასწია, იღიმებოდა, შემოსწრე-
ბულები სტუმრებით დღდად კმაყოფილი იყო და ოდნავ ხმადაბლა დაიწყო.

— ბატონებო, პირველ ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ და თამადის
ნებართვით, შევსვამ ჩვენი ღვიძლი მმების, ქართველი მაჰმადიანების სად-
ღეგრძელოს... მძლავრობამ, მუხანათობამ, დალატმა, შავით მოსილმა საქა-
რთველოს ბედმა, განგვაშორა ჩვენი მმები — ერთად სისხლის მღვრელნი,
ერთად ღვაწლის დამდებნი. დიახ, ბატონებო, ჩვენი ყოფილი ცხოვრება აქ
აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფია, ჩვენს სულიერ ძლიერებას
აქ აღუძართავს თავისი საწელოვანი დროშა. ახლა დიდი ხნის შემდეგ ჩვე-
ნი ძები ჩვენთან ხართ, გადღეგრძელებთ თქვენ და თქვენა სახით კველ-
კართველ მაჰმადიანს... სამტრედიასთან ბათუმის რკინიგზის შეერთება სულ
ცოტა ზანძი გაზრდის მცხოვრებთა რაოდენობას ქაღაქში, უკლ მალე
თვითშემართველობა დაწესდება, რომელსაც მომავალში ხელმძღვანელი გა-
მოცდილი კაცი დასჭირდება. ჩვენი საზრუნავი იქნება გამოგქინო, ისე-
თი ქართველი, რომელიც ჩვენ ახალშემოერთებულ მმებსა და დებს ყოფის
გაუადვილებს, ანუგეშებს და ცხოვრების მოწყობაში ხელს გაუწვდის. ასე-
ბატონებო, ღმერთმა ქნას, შევკრათ ერთი მთლიანი საქართველო, დღეგრ-
ძელობა და აყვავება ჩვენ ღვიძლ მმებს, თქვენი გამარჯვებისა იყოს!..



თერგდალეული

დაბლუნება

ის უბრუნდება თავის ქვეყანას,
გულში ოცნების კოცონს აინთებს,
იგონებს კახეთს, მშობლიურ აკვანს,
იგონებს თავის ლამაზ ყვარლის მთებს.

და როცა ოერგი გადმოიარა,
იქ შეეყარა ვინმე მოხევეს,
ხულ გული სტკივა და არად უჩანს
პატარაა თუ დიღგ მოხელე.

„რად არ გვეჭუდნის ჩვენ ჩვენი თავი?“
რომ ოქვა მოხევემ, დარეკა გულმა,
და დარდიანად ამოიოხრა:
„ჩემი მოხევევ, მიგიჩვდი გუმანს!“

ქართველო ხალხო, გამოჩნდა კაცი,
ჟირსა და ლხინში რომ წინ წარგიძლვეს:
ვინ დააბერტყა ლვთიური ნიჭი,
გამბედაობა, ჭკუა და სიბრძნე?!

თერგდალეული სხვაც არის, მაგრამ
სხვაა ილია, ჩვენი ილია,
იგი ჭეშმარიტ ლვთის ნაკურთხია,
მშობლიურ ერის გულის წილია.

ესმოდეს ყველას, — ამერ-იმიერს,
ჩედავთ?! — გაეხსნა ცისკარი ლოდინს,
ჩემი ქვეყანავ, ნუდარ იტირებ,
თერგდალეული ილია მოდის!

ଶ୍ରୀଲ ଦାରଦି ଓ ଗନ୍ଧେବା,
ପାତମ୍ବେ, ଶ୍ରୀଲିଙ୍କ ମହାପାତର.
„ହେମ କାରଗ ଜ୍ଵାପାନ୍ତାବୁ,
ରାତ୍ରେଦ ମିଥିର୍ଯ୍ୟେନିବା?“
ତାଙ୍କ ତକ୍କା? କେତୀବ ଠିଲିବ,
ତାଙ୍କ ଫ୍ରେଶଲମ୍ବନଶି ନିରାବ?
ଶ୍ରୀନି ଶ୍ରୀଲିଙ୍କ ମୋହବର୍ତ୍ତେନି
ପାତମ୍ବ ଦାଗବିର୍ଯ୍ୟେବଳା.
ତେରଗଢାଲ୍ଲେଖି ଠିଲିବ
କାରତଳିଙ୍କ ଦେଇବ ଅଦାରଦେବ,
ତାଙ୍କିଙ୍କ ମାମୁଲ-ଦେଇଲୁହେତି
ଲମ୍ବରିଙ୍କିଙ୍କ ନିଲିଙ୍କ ରାମ ଅଦାରଦେବ,
ମୁମ୍ଲିଙ୍କ ତୁ କୁରିବ,
କେଇବାର ଦାଶମିଲେବା.
ଠିଲିବ କୁମି ଗମିରିବ,
ଠିଲିବ କୁମି ବରମ୍ବନିବ...
ତାଙ୍କ ଆମ ମିଥିର୍ଯ୍ୟେବଳା
ଦା କେଇଲି ତାଙ୍କ ଆମ ଗାୟିର୍ଯ୍ୟିବଳିଙ୍କ,
ଅରଙ୍ଗିଙ୍କ ଶ୍ରୀକୁମରଦେବ,
ମାନ କୁମି ମିଶି ଆ ଉଚ୍ଛିଷ୍ଟିଙ୍କିଲି.

* * *

ଲଦେଶ ଶ୍ରୀନି କିରମଶି ତାଙ୍କ ଦାଗତିରିବାଲୁବି,
ହେମ ଜ୍ଵାପାନ୍ତାବୁ, ଆ ବାର କୁଲି,
ଶ୍ରୀ ଗେଶିନିବ, କୁରିଙ୍କ ଗାୟମାଗରଦି,
କାରତଳିଙ୍କିଙ୍କ ଦିନି ତେରଗଢାଲ୍ଲେଖି.
ଶୁଦ୍ଧିଲୁହେବାଙ୍କ ଦା କୁମିନିଙ୍କ ତୁମ୍ଭିବିଲି —
ଦିନିଙ୍କ ତୁ କାରାରାବ, ଗର୍ବିନିତ ଗାନ୍ଧିଜିଙ୍କି:
— ଏହି, ଏହିଙ୍କ ନିଯନ୍ତ୍ରଣ ମିମାରିନିଦିଲି ନିଯନ୍ତ୍ରଣାଦ,
ମେହିନିଦିଲି ଶ୍ରୀଲି ମେ ମିଶି ତୁମ୍ଭିଜ୍ଞାନି! —
ମାମୁଲ-ଦେଇଲୁହେବାଙ୍କ ସାକ୍ଷାତକେବେଳିତାନ
ନାମୁଖିଲେବୁଲୁହେବାଙ୍କ ଏହି ନିଯନ୍ତ୍ରଣିବି:
— ଶ୍ରୀନି ତୁମ୍ଭିଗିଲିନିତ ଦା ଶୁଦ୍ଧିଲୁହେବି,
ଶ୍ରୀଲ ଦାମ୍ଭିଦାଗରି ମେ କୁଲି ମତିକିନ୍ତି!
ଆ କୁମରଦେବ ମେଜିଙ୍କ ଦିନକାନ୍ତିବି,
ଶ୍ରୀକାରତଳିଙ୍କିଙ୍କ ଆ କୁମରଦେବ,

პაპანაქებით ჯეჯიღს გადამწვარს
მისი ცვარ-ნამი დაეპკურება.
გული ასე რამ დაუთანალრა,
ის ქართლის რუკას რომ დააცქერდა?!
„ეს ოსმალეთის საქართველოა?!“
და გული სცემდა, ძალუმად სცემდა.
„— აქ თავის კვერითით მძლეობს სულთანი
და მის ბრძანებას ემორჩილება,
ბათუმ-აჭარა და ქობულეთი
ჩვენი იყო და ჩვენი იქნება!“
ჩხავის სულთანის ფეხთამლოკავი...
შორს წარიტანეს გმირი ფიქრიბდა,
„პოი, სამშრეოო, დღეს შენი ბედი
დამეწყრილია, დადაგულია,
ჩვენი კულტურის ძველი სავანე
ნუთუ აწ ჩვენთვის დაკარგული?!”

მშპაზირები... მშპაზირები...

1877

რამ ჩააფიქრა ნეტივ მგოსანი ,
ნეტავი ასე რად მოიწყინა?!
არ იცით განა, რა ამბავია.
მთიდან არწივება გადმოიწივლა.
დღეს ეჭარელი სტოვებს სახლ-კარს და
მიდის... სედ მიდის, იცი, ძმობილო?!
სტოვებს სამშობლოს, რომ თითქოს სადღაც
უამს ჭირ-ვარამი მთალბობინოს.
მაინც რად მიდის, ვინ გააბრიყვა,
ვინ აუფუშა ასე გონება,
რა ამბავია, სიტყვა ასეთი
ავ გულსაც კი არ გაეგონება.
„დუშმანი მოდის, კუშველოთ თავსო“,
ვანა გაქცევა უშველის ვისმე?!
მალე აჭარა გატიალდება,
გულო, ვით გასძლებ, რა ამბებს ისმენ!
კუსმინოთ არა პანისლამისტებს,
არა ხოჯებს და არა გამყიდველთ,

ვუსმინოთ მხოლოდ ჩვენს ბრძენ იღიას
ჩვენი სიცოცხლის დღე რომ გადიდეს.
ამ ბრძენმა კაცმა, ვით შვილებს მამამ,
დაჯდა და ასე გზნებით მოგვწერა:
„— შენი სიცოცხლე საქართველოა,
შენი ხარებაც, შენი მოწყენაც.
შენი იმედიც საქართველოა,
ქვეყნად არა ჰყავს მას ორეული,
სძლიე ცდუნებას, სძლიე ორგულებს
და ნუ გარბიხარ შიშმორეული.
აჭარელია და თუ კახელი,
იმერელი თუ არის მეგრელი;
კველა მმები ვართ, დედა ერთი გვყავს,
იქ შენ მელოდე, აქ კი მე გელი.
მიგიკრავთ გულზე მმებს განშორებულო
ჩვენ, თქვენი მმები, ცრემმორეულნი,
ნუდარ ტორტმანებთ, გამაგრდით სულით,
მალე იქნება ჭირიც ძლიერი!“ —
ეს თქვა ილიამ, დაწერა სისხლით,
გამოატანა დარდები ფურცლებს,
აბა, რა მოშლის მმისაკენ ლტოლვას,
სიცვარულს ლვთიურს, სიცვარულს უცვლელს.
მეოსნის ხმამ ისე გადმოიქუხა,
თითქოს შეინძრა მთებიც კარჩხალის,
ის გვეტყვის ნაძღვილს, სიტყვას გულისას,
ის არ ჩაიკვლის არა კარჩავლიო.
მოგეალერსათ ყველა აჭარელს,
თითქოს სინჯავდა მმათა ჭრილობებს,
ეს არის ჩვენი დიდი ილია,
ჩვენთვის იღვაწებს, ჩვენთვის იომებს,
ეს ფესიანი ნეტავ რას ჩმახავს;
„ქრისტიანს აქ არ გავაჭაჭანებო!“
ქადაგებს, ყვირის და იმუქრება,
რომ აუფუშოს ჭკუა აჭარლებს,
მაგრამ ეძახის მმის გული მმის გულს,
და შუმლს იბერტყავს საუკუნეთა,
ჩვენს დაბრუნებას მოელის ქართლი,
ტაძრებს უსმინეთ მოგუგუნეთა!..

საა იღვიალი საიდან ისაის?!

ნუღარ ჰგოდებ სულო ჩვენო,
 ცყად ჭირში მძლე,
 საქართველოს იმედია
 ჭავჭავაძე დღეს.
 ნუ, ნუ წახვალთ მუპაჯირად,
 დაწლება მზე ღრე,
 საქართველოს იმედია
 ჭავჭავაძე დღეს.
 აჭარლებო, ხმა რომ გესმით,
 საიმედო ხმა,
 ეს იღია ჩვენ მოგვძახის,
 ყური უგდეთ ხამს:
 — თქვენს ნატანჯ გულს, ვენაცვალეთ,
 ნუ დაახევთ ხმალს,
 აჭარლებო, გონზე მოდით,
 დაუბრუნდით სახლს,
 აჭარლებო, გატყუებენ,
 გაცდუნებენ, ახ!..

მინაწერი

მიდიოდნენ, მიდიოდნენ,
 პოეტიც ღვრის ცრემლს,
 თითქოს იმის მჩქეფარე გულს
 გიღაც მახვილს სცემს,
 სცემს და სისხლის დენა არის,
 ვერ იჩერებს სისხლს,
 სულს მკურნალობს პოეზიით,
 ჩვენც გვმკურნალობს ის.
 აღარ წყდება სისხლის დენა,
 უერთდება ჩქერს,
 ნისლი ნისლობს, ქაოსია,
 მკურნალს ვუხმობთ წვენ.
 — გამაგრდით, ნუ დაუჯერებთ,
 ჭორია, რაც თქვეს,
 რე მოვდივარ, აჭარლებო,

მე გიშველით თქვენ! —
ვისი ხმა საიმედო?!
დიდება ამ ხმებს!
საქართველოს იმედია
ჭავჭავაძე დღეს.
სანუკვარი ნაღარები
გადაევლო მთებს,
სულარ პეტებ, მხარევ ჩემო,
არ დანებდე დევს,
ჩვენი სულის გადამრჩენი
იღია დღეს.

ფლავარია მუ პრაპრი?!

1877-1878

ლოდინი... ლოდინი...
ცრემლის ღვრა და სევდა,
ჰურა, შაუშეთი,
კლარჯეთი, ტაო და
ლაზეთი... და კიდევ...
მტერმა ხმლით დასერა,
და ქამთან მუხთალთან
ერის ხმა დაობდა.
მამაცი ქართველი
განა არ იხსენებს,
ტორი ვინ დაადო
ქართველთა საფიცარს?!
ირგუნებს აწ ვითომ
თავის წილს ისევვ,
თუ ვრესკებს ხახულის
ველური დაფხრიწავს?!

* * *

ეს უცებ რა მოხდა,
ქვემეხმა იქუხა,
იქუხა მრავალმა,
ტყვიები ზუზუნებს,

ნეტავ ვინ შესტეხა
 შტოები იმ მუხას,
 გიღაცა მოხუცი
 ნეტავ რას ბუზღუნებს?!
 ჯარმა რუსთა და ქართველთა
 უწიოს ყარსის სანახებს,
 და გადაღლილმა ცხენებმა
 მინდვრები მოიბალაჩეს.

ნურიბეგ ხიმშიაშვილი,
 შავშელთ თავკაცი, ქართველ
 ძმებს,
 შემოეგება ფარულად, —
 „გინძლო მტერს ერთად
 დავძლევდეთ!“

გაილაშქრეს და სიმღერით
 გადაუარეს მთა-გორებს,
 ყველა წინ გამოეგება
 ვინც იყო მართლის გამგონე.
 ამერ იმიერს ხმა მიწვდა:
 „ — აღსდგა მამული თამარის,
 ეს იყო ქართველთ ნატვრა და
 ეს იყო მთავართმთავარი!“
 მადლობა, ჟამო ღვთიურო,
 ზღაპარია თუ არაკი?!
 გადაიღიმა ილიამ,
 ჩონგურს ჩამოჰკრა აკაკიმ:
 — ვადიდოთ, ნანატრ დღეთათვის
 ვინც გახდა ომის ზვარაკი!

ვინ მოსულა

1881

ვინ მოსულა, ვინ წასულა
 არ უკითხავს ჯერ არავის,
 რადგან, ვიცით, ჩვენს ბათუმში
 ბინბაშს უდგა სულ კარავი.
 აქ დაძრწოდნენ ასკერები,
 აღარ გვქონდა მოსვენება,

თურმე ზშირად დიდ სულთანთან
 აგზავნიდნენ მოხსენებას...
 აქ იაკობ გოგებაშვილს
 ან ილიას რა უნდოდა,
 ან აკაკიმ რა ისურვა,
 გარა მიტომ ვარ უნდოდა?!.
 ვინ თქვა იგი, სკოლააო,
 აჭარლებიც ისწავლიან,
 ისწავლიან „დედა ენას“,
 ჩვენ ბევრი ხომ გვისწავლია,
 არა გვჯერა მიტომ ცხადიც,
 არაფერი არა გვჯერა,
 და გვგონია, ვარდის შტოზე
 ისევ ყვავი ჩამოჯდება.
 რა, არა ჩემო მხარევ,
 დაგდგომია სხვა ტაროსი,
 ვინ მოსულა ჩირალდანით?!
 გვალიც გაქრეს ბარბაროსის...
 ვინ მოსულა, ვინ მოსულა,
 მომეახლე, განა გიტევ,
 ეს ილია ჭავჭავაძე,
 შენ აჭარავ, სანთლებს გინოებს!

* * *

მომეცით ჩემი ანბანი,
 ბედმა უმისოდ მატარა,
 ძრუკცით ჩემი ანბანი,
 და გაახარეთ აჭარა!
 მაყინებელი წამია,
 სული უღვინოდ დამთვრალა,
 სამასი წელი მოხუცმა
 თვალა და ვეღარ დათვალა.
 რა გრძელი ჟამი ყოფილა
 ჩვენი წამების, გოდების,
 შენ მტკვარო, ჰა, შეიერთე
 ყველა მდინარე სამხრეთის, —
 ეს შენი ტანის ტოტები,
 დაარქვი შენი სახელი!..

* * *

აჭარელო ბიჭუნაო,
 „დედა ენა“ გადაფურცლე,
 შენ ნამდვილი ქართველი ხარ,
 ამაღლდები, ბიჭო, უცებ.
 ძველი მესხის მოდგმისა ხარ,
 შენ მოდგმის ხარ დიდი ტბელის,
 დროა შევთხზათ კვლავ წიგნები,
 ამოვაშროთ მელნის ტბები.

თუ შენც გინდა ამაღლდე და
 ფლახშუნები შენაც შექმნა,
 დაეწაფე „დედა ენას“,
 უგვდავების იქნებ შენც თქვა.
 კმარა, კმარა დუმილი და
 ლამის ველურ გარდასახვა,
 გადალახვრე, რამაც ჩვენი¹
 სული ასე გადალახვრა.
 აჭარელო ბიჭუნაო,
 შენ ქართველო ადამიწლის,
 დაეწაფე შენს მშობლიურს,
 ამცლდები ასე მიწყივ!..

ულიახანუმ აბაშიძე,
 აჭარელი გოგო-ციცა,
 გულში იკრავს „დედა ენას“
 და ილიას სახელს ფიცავს:
 „— გმადლობთ ჩვენო ბრძენო
 გაცო,
 „დედა ენა“ რომ გვაღირსე,
 დაგვიბრუნე წინაპრული
 წიგნის ტრფობა, სიხალისე,
 შენს ნაბოძებ მარგალიტით
 ყელამდისინ სულს ავიგსებო“
 ფიცს ამბობენ ჯარისკაცურს,
 რაკი თავი შეიმეცნეს;
 — ვინც წმინდა გზას უღალატის,
 სამარადოდ ქვეყნად შერცხვეს,
 გაუმარჯოს „დედა ენას“,
 გაუმარჯოს პირველ მერცხლებს!
 სან ჩამოდის ილია და

ხან აკაკი, ხან იაკობ,
 აქ აჭარელ მოსწავლეებს
 სიყვარული რომ მიაგონ.
 აწ, აჭარავ, ნუ იდარდებ,
 სამასი წლის ჭირსაც დასძლევ,
 რაკი შენ გაქვს „დედა ენა“
 და გამატრონობს ჭავჭამე!

რა მოხდაო წიწამურში...

რა მოხდაო წიწამურში,
 გვითხარით, ნუ მაღავთ,
 ვინ უსროლა ცხელი ტყვაა
 საქართველოს მამას?!
 რა მოხდაო წიწამურში,
 გვითხარით, ნუ მაღავთ,
 ვაჟა მთაში აბუხუნდა,
 ხმალზე იკრა ხელი,
 არ უნახაყო, არა ასე
 მოის მურსანი ხელი,
 და ატირდა ქალიც, კაციც,
 და წიფელიც ხმელი.
 შებარბაცდა აკაკი და
 ისე დაიგმინა,
 თითქოს და ცამ მოწმენდილმა
 შეტ დაიგრგვინა:
 — ქართველებო, ავაზაგებს
 გადუდექით წინა!
 აჭარამაც შეაქუხა
 ძველი მაჭახელა...
 — არამზადებს სიკვდილიო,
 ჩედ ს გამოკრით ხელად!
 გულო-აღა მგოსნის სურათს
 გზნებით ჩაეხვევა.
 ვინ გაჰკურნავს, ვინ გაჰკურნავს
 ჩვენი ერის ტყივილს?!
 თქვენც ღმერთებო, ყური გვიგდეთ,
 გული ნუ გაქვთ ტინის,
 დღეს თავის დიდ მამულიშვილს
 საქართველო ტირის.

III 15

არ გავიწერთნია საომრად ჯარი
და არც ანისი არ აგიღია,
არ შეგიძხსნია დარუბანდს კარი
და არც გელათი არ აგიგია,

სვეტიცხოველი არ აგიგია,
არც გზა-ხილები გაგიყვანია,
არ მოგინათლავს გმირი გიგია,
არც დაგიზრდია ცხრანი ძმანია,

არ წაგიღია დიდგორის დროშა
და არ შემკრთალხარ, როგორც მინდია,
არ ჩაგიგდია საგანძე გროშად,
არც განძშე კროში არ დაგიდვია.

არც ბრძოლის ველი, არც იდილია,
არც რამ ტაძარი, მთავარი, სეფე.
მამ, ხალხისათვის დიდო ილია,
რადა ხარ მამა, უფალი, მეფე?!

რატომ იწამა შენი მამობა
ერმა ლამაზმა, ერმა ზვიადმა?
როგორც სიწმინდის თეთრი სამება,
რატომ გაგთქვა და გაგადიადა?

რატომ იწამა შენი უფლობა
ერმა ლამაზმა, ერმა მშობელმა,
რით გაითვისა თავისუფლება
ხმალშე სისხლისცვარ შეუმრობელმა?

რატომ იწამა შენი მეფობა,
თვალები ნატევრით რატომ გაბრწყინდა,
რამ აამაღლა შენი მეობა,
სახელშე რატომ გაიმთაწმინდა?

რა არის ამის მადლი, მირონი,
 გაღვიძებული აზრი მძინარი,
 რამ აამწვანა სანაპირონი
 მარადისობის ლაღი მდინარის?

— ეს მხოლოდ შენმა სულმა ნათელმა,
 შენმა წიგნმა და მაღალგაგებამ,
 ჩაუქრობელმა ნატვრის სანთელმა
 და თავსიწმინდის თეთრმა განგებამ,

აზრის სამრეკლოს დიდოსტატობამ,
 მიზნის ძალამ და სიტყვამ ახალმა,
 ერის მაჯაზე ხელის დადებამ
 და უკვდავების რწმენამ მაღალმა,

გულში ტრფიალის ცეცხლის ჩადებამ,
 სვებნელის სვეთა ამობრწყინებამ,
 შენმა ქრისტესებრ გამოცხადებამ
 და სიყვარულის აღორძინებამ,

შენმა ქრისტესებრ გამოცხადებამ,
 აზრის და სიტყვის ახალმა რწმენამ,
 შენმა ქრისტესებრ გამოცხადებამ
 და სივრცეებში ახალმა ფრენამ,

მშობელი ენის აღორძინებამ,
 მშობელი მიწის ამოშვინდობამ,
 ცვრის მარგალიტად ჩამომძივებამ,
 სულის სითბომ და სულის მშვიდობამ.

დიდება ერის მაღალ ერობას,
 დიდება ერის შენებრ შვილობას,
 შენზე სათქმელის შესაფერობას
 და უკვდავების მხარგაშლილობას.



ილიასტან, «ივარის» რეზაქციაში

აიასის მოთი სურათი

წამეჭანი. დღევანდველი საღამო იღია ჭირჭვაძის მუზეუმში უნდა გაგტაროთ. ამ წიგნების, სურათების, დოკუმენტების სამუალებით არც აუ ისე ბორგული წარსული უნდა გავიხსენოთ და, რაც მთავარია, განების ოფლით ჩვენი სასიქადულო მამულიმვალები უნდა გავაციცლოთ. ვნახოთ, დიდი ილიას თავკაცობით როგორ იღვწოდნენ ისინი სამშობლოს სადიდებლად, მისი ყველა კუთხისა და, რასაკვირველია, აჭარის საკუთილ-დღეოდ.

ყვალაფერი, რასაც თქვენ ახლა მოისმენთ, ამ სამუზეუმო დოკუმენტებით დაცული, ჩვენ არაფერი დაგვიმატებია, ყველაფერი ასე ყოფილა, ჰელიფერი ილიასა და მის თანამებრძოლებს უთქვამთ.

გამ ააე, წავიკითხოთ პირველი დოკუმენტი.

ამ, რას წერდა ფურნალი „თეატრი და ცხოვრება“: „შერიფ ზიმშია-შვილის დვაწლი აჭარელთა ცხოვრებაში დაუვიწყარია... შერიფ-ბეგის სახელი დიდების სხივით შემოსილია. მისი ქართველური შეგნება საძირკოდ გაუსდი, ჩვენს დღევანდელ ერთობას. სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებამი მონაწილეობისათვის რუსეთის მთავრობამ აჭარელთაგან იმრველს ძიანიშა გენერალ-მაიორის წოდება“.

შერიფ ზიმშიაშვილი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის წინ ახალცამიდას საიდუმლოდ ჩამოვიდა თბილისში და შეხვდა ქართველი სამოგადოებრიობის ძიწინავე წარმომადგენლებს.

(განათლება თახი „ივერიის“ რედაქციაში. მაგიდას უხევდან იღია ჭირჭვაძე და იაკობ გოგებაშვილი).

ა. გოგებაშვილი. ილია, ის სტატია თუ დაამთავრე, ოსმალოს საქართველოს დღევანდელ სურათს რომ უძლვნიდი.

ა. ჭირჭვაძე. დავამთავრე, ჩემთ იაკობ, დავამთავრე... ახლავე წაგივის ც.

(იღებს ქადაგს და უკითხავს):

„ოსმალოს საქართველოს დიდი პატივსაცემი და სახელივანი დვაწლა შეუძლებელი ჩვენი ერის ისტირიაში. დიდი მრომა გაშწევია, დადი მნხვერდი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნოხევია ჩვენოან ერთად თა-

ქართველის ერის თვითარსებობისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ქართული სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენის მოღაპარაზეც ერთი ისტორია გვქონია“ (შენიშვნავს კარში მდგომ შიკრიფს), გისმენთ!

შეკრიფი, ბატონო ილია, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს სურს თქვენ ნახვა.

შეუძლებელია დავიწყება დიდი ილიას ლვაჭლისა. ჩვენ მუდამ მაღლიერი ვიქწებით მნელბედობის ემს იმ სითბოსა და გულისხმიერებისათვის, ყურადღებისა და დახმარებისათვის, რამაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა, რომ აჭარის კვლავ ეპოვა თვითი ღირსეული ადგილი ერთიან ქართულ ოჯახში.



ეპოქის ზნეობრივი გმირი

ჭეშმარიტად უკვდავი და წინასწარმეტყველური აღმოჩნდა „აზრდილის“ ცტრონის ანდერძად თქმული სიტყვები: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, ჟე ვარ შენი თანამდევი, უკვდავი სული“. ილია ჭავჭავაძე ჩვენი ცოცხალი თანმედროვეა და იმ მოღვაწეობა პლეიადის ეკუთხნის, რომელიც ზენობის უდიდეს კანონმდებლად ირწმუნა ხალხმა და მომდევნო თაობის ადამიანები საკუთარი მოქალაქეობრივი ღია-სებების კრიტერიუმად მის უკვდავ საქმეს და სახელს მიმართავენ. ჩვენში სამურამოდ და მტკიცედ დაკვიდორდა გამოთქმები „ილიას მსგავსად“, „როგორმ ფილი ილია იტყოდა“...

ილია ჭავჭავაძე თავისი ეპოქის ზნეობრივი გმირი იყო. მთელი მისი ცხოვრება უამოღვაწეობა მიმართული იყო იქეთკენ, რომ ხალხისათვის ეთქვა სიმართლე, ხალხისთვის სიმართლის თქმა ესწავლებინა.

სიმართლე დიდი და მშვენიერი ძალაა. ესთეტიკური კატეგორიებით რომ ვამსჯელოთ, სწორედ იგია მშვენიერება, რაღაც სწორედ მის ქედზე იყრება ერთმანეთისაგან სიკეთოსა და ბოროტების მდინარეები. სადაც სიმართლე იმარჯვებს, იქ სიკეთის დროშა აფრიალება, ხოლო ბოროტება ძალის კარგავს. მიუხედავად ამისა, სწორედ სიმართლის დანახვა და გამოთქმაა ძნელი. მთელი მისი მშვენიერების მიუხედავად, ყველას დასახახავად როდი დევს იგი ცხოვრების ზედაპირზე. მხედველობაში გვაქვს ცხოვრებისეული სიმართლე, რომელიც ცხოვრების წილშია დაფარული და მისი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური პრინციპების საყრდენს წარმოადგენს.

ცხოვრებისეული სიმართლის დანახვასა და გამოთქმას გონიერი დიდი ძალა და საუკეთელთაოდ აღიარებული მორალური უფლება სჭირდება. სიმართლის მთქმელს დადა ცოდნა და სიმართლის თქმის მაღალი კულტურა მოეთხოვება. ხალხისათვის სიმართლის მთქმელი დაშვენებული უნდა იყოს უანგარო პატრიოტული რწმენით, წმინდა ზნეობით, პირადი მაგალითის მიმზიდველობით, სიტყვისა და საქმის ერთიანობით. ერთი სიტყვით, სიმართლეს ბრძენი ადამიანი უნდა ამბობდეს.

მიუხედავად ამისა, ხალხის სიბრძნეში ისიც შენიშნა, რომ სიმართლის მთქმელს ცხეხშეკუთხით უნდა ჰყავდეს, სიმართლისათვის ბრძოლა ნარეკლიან გზაზე დაუდალავი და დაუზარელი შრომაა. ასე ესახებოდა იგი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს, როცა რუსეთიდან სამშობლოში ბრუნდებოდა მოწინავე მეცნიერული ცოდნითა და მებრძოლი დომორატის სულისკვეთებით შეიარაღებული. მისი მთავარი მისია იყო ხალხისათვის სიმართლის თქმა, „ღვიძლი სიტყვის“ თქმა, სიტყვისა, რომლითაც მამულიშვილმა მშობელ ხალხს გულისტკვილი უნდა მოურჩინოს, დავრდომილი აღადგინოს, უნუგეშოს ნუგეში მოპონინოს, მტირალს ცრემლი მოწმინდოს, მუშს შრომს გაუადვილოს... საცხეა კეთილშობილებით ეს განშრახვა, მაგრამ ადვილი არ არის. ამიტომ ებრძების ეპვებს ილია: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანას ზურგი შემაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა“. მაგრამ ქვეყანამ ზურგი არ შეაქცია თავის დიდ იმედს, თავის დიდ შვილს, რადგან მასში სწო-

რედ მისი ქვეყნის დვრიტა იყო დადებული და ამისთანა „შვილის სიტყვა შემოსახულობრივის ესმის“.

და უთხრა ილიამ თავის ქვეყანას ოუმცა მწარე, მაგრამ გაბედული სიმართლე. ეს იყო ბატონყმობის, როგორც სოციალური ბორიტების, მხილება. საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამდე 4-5 წლით ადრე კერ „გლახის ნამბობში“, შემდეგ „კაცია აღმიანასა!“ და პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდამ“ ილია ჰავჭავაძემ სასიყვალო განაჩენი გამოუტანა ბატონყმობის, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ბატონყმობის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-ზნეობრივ საყრდენებს. „გლახის ნამბობის“ ავტორმა ქვეყანას დაანახა, რომ „ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება“, რომ „ყმას, როცა კი მოიწადინებს ბატონი, ქოფაქს ძალზედაც გაცვლის“, რომ „ცრემლს ამ ქვეყანაში გასავალი არა აქვს“.

საჭირო იყო ცხოვრების დიდი ცოდნა, დიდი გაბედულება და პუმანიზმის თანდაყოლილი გრძენობა, რომ ნამდგილი სიმართლე ბატონყმობის შესახებ ყველასათვის დასახად ექცია მწერალს. ეს სიმართლე ილიას გენიამ ცხადყო სახელგანთვალ პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდამ“. პოეტმა მთელი ხმით მიმართა თავის შეკონველს:

შენც, ძმაო, ვიცი, გაგიგოხია,
ყმის ბედი რა-რიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც იქნება.
ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
უოცელთვის, ძმაო, არის საფრთხეში
გლეხეცაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში.

ეს სიტყვებიც ბატონყმობის გაუქმებამდე 5 წლით ადრე ითქვა. ამ პოემის გმირები გამოკვეთილი რეალისტური ხასიათებია, მათში განზოგადებულია ბატონყმობის სიმბიმითა და მებატონის ამორალიზმით გათელილი მშრომელი ადამიანის ბედი. პოეტი არ კმაყოფილდება მხოლოდ ბატონყმობის, როგორც სოციალური ბორიტების წყაროს დახატვით და შეურაცხყოფილი და დამცირებული გმირის პროტესტს ზოგადად ადამიანური ტიავილების ხარისხსამდე ამაღლებს. ეს არის სიმართლის დაკარგვით გამოწვეული ცროტესტის ხმა: „მართალ ს იტყვა საც არ მათ ქმევინებ, ფუ შენს სამართალს შენს სამართალს, შენს სამსაჯავროსაც ა.“

სიმართლეს მათრი დიდაქტიკითაა გამსჭვალული მოთხოვნა „კაცია აღმიანი!“ ამ ნაწარმოებში კიდევ უფრო ფართოდ გამოიკვეთა მწერლის ორმაგი მიზანდასახულობა: 1. თქვას სიმართლე ბატონყმობის შესახებ, რომელიც კერ კიდევ მყარად დგას ფეხება და 2. მკითხველს ასწავლოს სიმართლის თქმა, ასწავლოს და ოღნიარდოს მასში სიმართლის თქმისათვის საჭირო სიმამაცე და გაბედულება.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანობის იდეისათვის ბოროლაში გადაჭრით გაემიჯნა და ამაღლდა თავის კლასზე და ბრძოლაში გამოიწვია ბატონყმური საზოგადოება, სასიყვარულო განაჩენი გამოუტანა ლუარსაბ თაოქარიძის კლასს, ცხადყო მისი გადაგვარება,

ლუარსაბი უმომავლო საზოგადოების შეილია, მხოლოდ წარსულს მისტიკის: „ვენაციალურ უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზე იყო მოყვანილი, ყველა თავის ქრექში იყო. ვენაციალე! კი ცხენი, კი თოფი, მარჯვე შელავი და კაცი იყავ ბატიოსანი!“

მწერალი ასეთ სიმართლეს ეტყვის მკითხველს. „ეს, ჩემო ლუარსაბ... დელ დროს ტყუილად შეწნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა

ახლა კი არ არის? თოფი განა ახლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მეტავი ცოტა? ადამი
არის, ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმტკრალე, ის თავის
მოღება მამულისათვის, რომელიც კი ცხენს და კი თოფს კი საქმეში ახმარებდა. უწინ
კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ახლა კი ცხენი და თოფი ამშვენებს კაცს".

პირადი ღირსებებისათვის დიდ ნუგეშად თვლიდა ლუარსაბა იმას, რომ წირვა-ლო-
ცვას არ იყლდებოდა. კაცი არ ჰყავდა მოკლული და კაცისთვის არაფერი მოებარა.

მწერალი ასე ამხელს ამ ცრუ სათნოებას და ასე მსუსხავ სიმართლეს ეტყვის ფე-
რერსონეს და შემდეგ მკითხველს: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოვა-
ლაგს, კაცისთვის არ მოგაბარავს, ერთის სიტყვით — რაც არ უნდა გექნა, არ გაქნა —
ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჭობია, მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: — რაც უნდა გექნა
ის კა გიქნა?"

— დიაღ, მეტყვი შენ, — მისვამს და მიშამია, არც ერთი დღე მშიერი არ ვყოფილ
ვახ.

ვითომ ეგ არის პასუხი? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველ
თვის გსმენია ჩეკროვის ჭარბმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა, იყავ შე
სრულიო". აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის ცდილხარ? არა, შენ მა-
ვისისების არ ცხოვრობ. შენ ცხოვრობ — რომ სეა და სუამო, და არა იმისათვის ჭამ და
სუამ, რომ იცხოვებო, ესე იგი ეცალო, რომ ვითა მამა ზეცის, იყო შენც სრულიო".

ეს ყო მწარე სიმართლე, რომლის თქმა, ალბათ, მარტო ილია ჭავჭავაძეს შექ-
ლო, რადგან ამ სტრიქონების პარალელურად იწერებოდა ფიცივით გულწრფელი და ს-
წლო ეს სიტყვები:

აგვიურლია სიყრმიდანვე ჩეკნ ქართვლის ბედმა
და და გვძრახონ, — ჩეკნ მის ძებნით დავლით დღენი.

სიყრმიდანვე ქართვლის ბედმე დაფიქრებული მწერალი წინასწარ აფრთხილებდა
„კაცია-ადამიანის!?" მკითხველს: „ვინც ლუარსაბის სახეში თავისთვის იცნობს, ვინც
ლუარსაბზე დაწერილს თავისთვე მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლის და
მიწყებს და „გიუის" დაუძახებს ამ მოთხოვნის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ,
რომ ჩეკნ პირთა საქმე არა გვაქნა, ჩეკნ საზოგადო ჭირზე ვწერთ".

მავა ნაწარმოებში ილია ჭავჭავაძე გვთავაზობს სიმართლის დანახვისა და გამოთ-
ქმისათვის ხალხის აღზრდის კონკრეტულ პროგრამის. მწერალს მიაჩნია, რომ არ ქმარ-
ხალხს მხოლოდ უჩვენო და უწყო სიმართლე. ასევე და უფრო მეტად საჭიროა ხალხს
ფინანსურა დაგენერებდეს გულისყურს საქვეყნო საქმეს, ხედავდეს და სწორად აფასებდეს
სიმართლეს. ამას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ილია, რადგან „ხშირად ერთი და
იყიდე საგანი ზოგს აცინებს და ზოგს ატირებს".

დღიდ მამულიშვილი არც იმას მალავს, რომ მის მკითხველთა შორის, „საუბედუ-
როდ... ძნელად იძოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს...
„ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში, როგორც მოყვარე, გეტყვი, რომ ლუარსაბი და და-
რეკანი შენს კალთაში დაბადებულიან და შენი ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინ-
და არა".

მაგრამ ამით არ იფარგლება მწერალი და ხშირად ირონიის მსუსხავი ძალით ამხელს
ქართველი კაცის, ამ შემთხვევაში მებატონის, ბედოვლათობას. ამ მხილებას ლოგიკურად
მოჰყება ავტორის პრიცესის თვითანალიზი, რომლის მჩანია ისევ სიმართლის თქმის
და სიმართლის შეგრძნების გამძაფრება: ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხოვნას შენა გაჯ-
რება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახოვს — რამდენადაც შეძლება აქვს —
შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გასწორო. სანამ სარკეში არ ჩაიხდეა ან სხვა

ამ გეტივის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზე ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა საკუთრივი იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქები. დაკვირდი იქნება გენიშნოს ან მუც უკუკი იყოდეს: მარტო შენი მტერი დაგმალავს შენს სახეზე რომ ურიგობა ნახოს ამაგ, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გაქცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზე როგორ უნდა გამიშვრე?“ მაგრამ საზოგადოების გავლენიანი ნაწილი გაუწყრა. ქართველობის ღალატი დაბრალეს. 1861 წელს გამოქვეყნდა ოლიას ლექსი, რომელშიც ერთხელ კიდევ ვამოჩნდა, მისი როგორც მაჟულიშვილისა და შემოქმედის, მოქალაქეობრივი პოზიციების ასი და მწერლისადმი საზოგადოების ერთი ნაწილის ცილისმწამებლური დამოკიდებულების უსაფუძვლობა.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს.“

„ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია“ —

ბრიუნი ამბობენ. კარგი გული კი მაშინვე სცნობს —

ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ილია, როგორც შემოქმედი, რომლისთვის ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიძრე პირადი ინტერესები და კეთილდღეობა, თავის თავს მხალი ბრძოლისა და შეტევისათვის მზადებს:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?

რასაც ვმსახურობთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,

ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში,

ბოროტ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის ხეირს ვუყუროთ.

უურნალ „საქართველოს მოამბის“ სარედაქციო წერილში ილია წერდა: „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ როცა ჩვენი უურნალი მყაფიოდ, საქვეყნოდ გამოსთვეობს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ საღმე რისა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსტევთ, რომ ჩვენ ქართველში ვგიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცულე კი ვეელგან ხანიზრარია, ქართველი იქნება მისი მექონი თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასყარნი იქნებიან.“

ილია ჭავჭავაძე მთელი სიცოცხლის მანძილზე განუხრელად იცვლა პრინციპს — „მართლის თქმაა ერთგულება“ — და იმავე „საქართველოს მოამბეში“ რედაქციის სახელით აცხადებდა: „ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენი ცხოვრების სიბორვეტის დამალვას. ეგ იმათ მოსდით ქართველობის უმეცარი სიყვარულის გამო. ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა. — „მოყვარეს პრიში უძრავე, მტერს პირს უკანაო.“

სიმართლის თქმისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვისთვის ილიას ბრძოლამ განსაკუთრებული აღიარება და პრატიკული ხასიათი საქართველოში საგლეხო რეფორმის განხორციელების წლებში შეიძინა.

გლეხი, რომელიც უმიშოდ განთავისუფლდა მებატონისგან, ყოფილი მებატონის უურმოჭრილ მონად რჩებოდა სიცოცხლის მანძილზე. ამას ხედავდა ილია ჭავჭავაძე და სამართლიანობის პრინციპის ერთგულს არ შეეძლო იგი უყურადლებოდ. დაეტოვებინა.


ბატონიშვილის გადავარდნზე კამათის დროს, — იგონებს ქ. მამაცაშვილი, — წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლი განცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცეს. კრების უმეტესობა მი კაღიერდა პასუხმა აშფოთა. ერთმა თავადმა ხანგალი იშიშვლა და ლანძლვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა „გამიშვით, გამიშვით, ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიუბული თვადი შეაკვეს და ძლიერ-ძლი-

ვობით გაიყენეს ქარებიდან. მდგომარეობა იმდენად გამწვავებულა, რომ იღიცას მეცნიერებას გადაუწყვეტილ მეთვალყურეობა: დაეწესებინათ ახალგაზრდა პიერის დამაცაფას ეს იყო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გმირობა, რომლის გმონ ქართველმა ხს ლხმა ილია ჭავჭავაძე დამსახურებულად აღიარა თავის უგვირგვინო მეფედ. ილია პრაქტიკულად განასხიერა შემოქმედებით სიტყვისა და ცოცხალი, პრაქტიკული საქმის ერთიანობა: ხალხის ცხოვრების შესახებ ხალხის სიმართლის თქმას ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შინაარსის დვრიტად მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით ის ნამდვილი მესაიდუმლე იყო ზალხის ცხოვრებისა. მისთვის არაფერ იყო დაფარული ცხოვრებაში, თვითონაც არააჯერს ალამაზებდა ცხოვრებაში. ცხოვრება ილიამ არა-არაზრდოვნად უწიოდა „უსწორმასწორო წუთისოფელა“.

ცრიზმის ოფიციალური იდეოლოგია საგლეხო რეფორმის განხორციელებას საყოველთაო კეთილდღეობის დამყარების ხანად ასაღებდა. მწერლობას კი, რომელიც კრისტიკული რეალიზმის მეთოლით ასახავს სინამდვილეს, სწორედ იმ სოციალური ნაპრალის ბუნება და მისგან გამომდინარე ადმინისტრი სულისკვეთება უნდა ამოეცნო და ცხად გაეხადა საზოგადოებისათვის. ე. ი. მწერლობას უნდა ეთქვა სიმართლე ცხოვრების შესახებ.

„ოთარანთ ქვრივში“ არჩილისა და კესოს დიალოგით ილია სიმართლე უთხრა თვეის წალენს რეფორმის სინამდვილის შესახებ: „ჩვენ შეა ხიდია ჩატეხილი, ისინი ექვემდებარების დარჩენენ, ჩვენ აქერთ შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვერა მიგვიწვდენია“.

ამრიგად, სოციალური პრობლემატიკა, რომელიც ყველა ეპოქაში ხალხის ცხოვრების მრავალ პრობლემათა შორის ყოველთვის იყო ერთი მთავარი „წყვევლა-კრულვიანე“ საკითხი, ილია ჭავჭავაძესთან წარმოდგენილია იმ სასინჯ ქვად, რომელზეც უნდა მოწმობოდეს მაშულიშვილის ზნეობრივი ლირსებები. თვითონ მწერალმა შთამომავლობას და ვიტოვა დადი გავვეთილი სიმართლის თქმისა და სამართლიანობისათვის თავდადების შესახებ.



ერის სიმღიდოე და მშვენება

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი და თაობიდან თაობაზე გადაცემული ანდაზები, აფორიზმები, გამონათქვამები ჩვენი ერის სიმდიდრე და მშვენებაა. ილ. ჭავჭავაძე მოხდენილად იყენებს მათ თავის თხზულებებში, ზოგს ცვლის, ახდენს პერიფრაზირებას, პერეტრუბაციას, ავრცობს და ამატებს... თვითონაც ქმნის აფორიზმებსა და აფორისტულ სტრიქონებს.

ანდაზა ზეპირისიტყვიერების უანრია, ხალხში გავრცელებული მოკლე გამონათქვამია, რომელიც ნართაულად, იგავური მინიშვებით, მხატვრული ფორმით განაზოგადებს მრავალმხრივ ცხოვრებისეულ გამოცდილებას (ქსე, I, 440).

ხალხური ანდაზები მრავალდა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში, სადაც დიდი ოსტატობითა გადმოცემული ადამიანური ცხოვრების ყოველი მხარე. ლექსიკის ეს ფენა ატებობს მყითხველს ღრმა სიბრძნითა და ჰუმანიზმით, ხალხთა შორის მეგობრობის, ურთიერთპარივისცემის გრძნობით.

ილიას აფორიზმები და მოსწრებული სიტყვა-თქმები („წშირად თავისცებურად გათლილი“, ი. გრიშაშვილის გამოთქმა) მოჰყავს მსოფლიო ლიტერატურიდან, მაგრამ ყველაზე უფრო დამოწმებები შეინიშვნება „ვეტისისტყაოსნიდან“. ამ შემთხვევაში მწერალი ზოგჯერ ასახელებს ავტორს, ზოგჯერ — არა. მეორე სჭარბობს პირველს. ეს სიტყვიერი მასალა მოხდენილად და მნიშვილგონიერად არის ჩამოტკიცილი ილიას თხრობის საერთო ღრებაში. მათ მეტი სინათლე შეაქვთ ამბებისა და მოვლენების გადმოცემაში. ასეთ გამონათქმებებს თვითონ მწერალი უწოდებს „საანდაზო ლექსებს“. ე. ი. სამაგალითოს, საილუსტრაციოს. ილია „ივერიაში“ 1883-1884 წწ. დროგამოშვებით ბეჭდავდა თავისიცე შეკრებილ „საანდაზო ლექსებს“, რომლებიც ამოღებული იყო „ვეტისისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“, „დავითიანიდან“. ეს მასალა 1935 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ი. გრიშაშვილმა.

ანდაზები, აფორიზმები, შთამბეჭდავი გამონათქვამები ილიას ენის ჩუქურთმებია, რომლებიც აძლიერებენ და მეტ ემოციურ დატვირთვას აძლევენ ფრაზებს, წინადაღებებს, გვინონათქვამებს; ამასთან ტექსტს მატებენ შინაარსობრივ-აზრობრივ ძლიერებას, აზრს კიდევ უფრო ბასრს, მახვილსა და მკაფიოს ხდიან, აძლიერებენ პოლემიურ ტონს, ამიდრებენ მხატვრულ მხარეს და საკმაოდ ეფექტურ შედეგს აღწევენ. 1886 წელს დაწერილი ლექსები („დამაკვირდა“) თოთხმეტი აფორიზმისაგან შედგება. თოთხმეტი მათგანი მხატვრული ფორმით გადმოგვცემს იმ იდეებს, რომელთა ერთგულა ილია დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ხშირ შემთხვევაში ილია უცვლელად იყენებდა ძველ წუთალთა გამონათქვამებს, ზოგჯერ კი თავისუფლად ეკიდებოდა და ცვლიდა, მაგრამ მათ შინაარსობრივ-აზრობრივ მხარეს არ არღვევდა (ზ. კანდელაკი). ი. გრიშაშვილის სტუკით, როგორც ჩუქურთმა ან ზარნიში ამშვენებს რომელიმე ნივთს გინა შენობის აღნავობას, ისე ეს საანდაზო ლექსები ამშვენებენ ადამიანის ნაზრებს და ასუქებენ მისი გონების კილეანს (იხ. საანდაზო ლექსები, ტფილისი, 1935, გვ. 18).

ანდაზის დამხასიათებელ ნიშნად მიჩნეულია მისი ხალხურობა. იგი ხალხური ენის უბრტყინვალესი ნიმუშია.

ამ შემთხვევაში ურიგო არ იქნება მოვიკონოთ დიდი ილას „კულტურული მემკვიდრეობის“? შესავლის შემდეგი ადგილი: „სხვამ რაც უნდა თქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამჩნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ებ-ლა, ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უზილავო, და ხალ-ხისა ხარ, ისიც ვიცი, რაცა გქვიან; შენ ხალხის გენის გეძახიან — ისიც ვიცი, რა თვა-სებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“.

ანდაზა არის ხალხური სიბრძნის ის მარცვალი, რომელსაც მიმართავს ადამიანი თვესი ცხოვრების ყველა მომენტში: სიხარული იქნება ეს თუ მწუხარება, მოწონება იქნება თუ მომხდარი ფაქტის გამო დანარება, ზიზღი თუ გაკვირვება, მოწოდება თუ ნატევრა. ადამიანი ანდაზებს იყენებს როგორც დადებოთი ემოციების დროს (სიხარული, ხუვარული, აღტაცება). ისე უარყოფითი ემოციების შემთხვევაშიც (სევდა, შიში, სიბრაზე). მაგრამ ყველაზე მთავარი განსაკუთრებით დიდაქტიკურ-მეთოდიკური თვალსაზრისით მაინც ის არის, რომ ანდაზა გვაჩვევს სწორ ლიტერატურულ ენას, აზრის მოკლედ ნათლად და გასაგებად გადმოცემას. ცოტა სიტყვებით ბევრის თქმის ხელოვნებას.

ანდაზებში, ჩეულებრივ, არ გვხდება ღალაქტიზმები, არალიტერატურული სიტყვა. სწორედ ამიტომა, რომ ანდაზას თვლიან წიგნიერი ახალგაზრდობის აღწროდის ერთ-ერთ საშუალებად, მათი გონებრივი ჰორიზონტის გამაფართოებელ ხერხად, მეტყველების კულტურის ამაღლების მძლავრ სტრულად; ისინი ჰმატებენ ილიას თხრობას მიმზიდველობას, შონს, ლაზათსა და ჭავარს. გამოთქმულ აზრს შეტყობინებლობას აძლევენ და მიმზიდველს ხდიან.

ანდაზა ქართველი ხალხის საუკუნეობით გამოცდილების გამოძიხილი, მისი სიმჩნეის ხმაა; იგი „სხარტულად გამოქმული სიბრძნეა ხალხისა“ (თ. სახელი).

მწერალი ზოგ ანდაზის იყენებს პირდაპირ, როგორც ხალხშია გავრცელებული, ზოგს აბრუნებს, ცვლის ოდნავ, სიტყვებს უმატებს, რომ ამით ხავთარ მოსაზრებასა და შეცელდულებას მეტი გამჭვირვალობა მისცეს. მაგრამ ილიასეული შეცვლა ანდაზის არ ამანიჩნებს, ამ უკარგავს პირეანდელ სიმახვილესა და სიბრძნეს. რომ იგი ხალხის შრავალ-საუკუნოვან განძს უნარჩუნებს პირველყოფილ სინედრესა და სიჭაბუკეს. ილიამ ამ მხრივაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ზეპირსიტყველერებას.

აფორიზმი არის ზოგადი ხასიათის აღმზრდელობითი გამონათქვაში, რომელიც ერთ წინადაღებაშია მოქცეული და რომელშიც დამრიგებლობითი შინაარსი უშუალოდ ვევ-ლევა.



სახონის, ემოციურს, შთამბეჭდავს. ამ უაღრესად შეკუმშულ ფრაზებში, წილის და გამოცხადების ღრმა შინაარსია ჩადებული. ისინი პიროვნებაზე ზემოქმედების შესანიშნავი საშუალებადა და ადამიანის გარდაქმნის საუკეთესო იარაღიც.

ანდაზები და აფორიზმები სულს ალამაზებენ ისე, როგორც ყვავილები — ოთხს-მოწმებული გამონათქვამი ალამაზებს აზრებს და ინახავს მას. ისინი იმით არიან დასაფასებელი, რომ მყითხველს აიძულებენ იფიქრონ, აამუშაონ საკუთარი აზროვნება. რაც უფრო შთამბეჭდავია ასეთი გამოთქმები, მით უკავესია, რადგან „რაც ერთხელ ცხოვდა და სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაცემის“. თვითონ ილაც ბრძანებდა: მოწლი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნებოდა, თუ იმათ ცხოვრებიდან. ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ“.

ანდაზებით, აფორიზმებითა და ცალკეული გამოთქმებით ილას თხზულებები მდიდარია. პროფ. ქ. სიხარულიძე მიუთითებს, რომ „ყავი ყაჩაღში“ მოხუცისა და ბატონის დალოვგში ჩართული ანდაზები გამოყენებულა უარყოფითი გმირის ხასიათის შესაქმნელაშ. უძლური მოხუცის თხოვაზე შეუბრალებელი ბატონი უპასუხებს: არა, „ერთი ნები — ხომბს ათასს მეონდეს“.

ამ შემთხვევაში ილას წინწკლებით გამოყოფს მის მიერ უცვლელად გამოყენებულ სალხურ ანდაზას და აკისრებს მას მნიშვნელოვან როლს შეუბრალებელი, ეგოისტი ბატონის ხასიათის გადმოსაცემად. პოემაში სოციალური საკითხისადმი მიძღვნილ დაალოგს წერალმა დადი, სერიოზული ფუნქცია დააკისრა და ამით ხაზი გაუსვა ქართული ხალხები შემოქმედების უდიდეს მნიშვნელობას. (ქ. სიხარულიძე. ქართველი მშერლები და სალხური შემოქმედება, თბ., 1966, გვ. 150-151).

კოტა აფხაზი გადმოგაცემს: „ილას მეტისმეტად უყვარდა გლეხებთან ბასას, მე-ერადე მოხუცებთან, პკრებდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებსა და გამოცანებს; უყვარდა მესტიორები და ყოველვეს გულისყრით უსმენდა მათ“.

სახელგანათქმული მშერლები და მოზროვნები, როგორც ცნობილია, ყოველთვის მიართავდნენ ფრთხოალურ თქმებს, მოსწრებულსა და მახვილ წინადაღებებს, ანუ ქ. წ. ფრთოსან ფრაზებს.

ფრთოსანი ფრაზა მეტწილ შემთხვევაში აფორიზმს უახლოვდება. მისთვის დამაჯა-სათქმებელია კატეგორიულ ფორმაში დიდი აზრის გაღმოცემა. ამგვარი ფრაზების საწყისი ძირები ხალხური პოეზიის წილიდან მომდინარეობს.

ჩვენ შევისწავლეთ ილიას ნაწარმოებებში შესული ანდაზები, აფორიზმები, შთამბეჭდავი გამონათქვამები, ასეთი გამონათქვამების ცალკე გამოცემისას ილიას ჰერონდა შემუშავებული საკუთარი პრინციპები. მშერლის მოსაზრება სანდაზო ლექსების წიგნში გაწყობის შესახებ ასეთია: „პირველი სტრიქონის პირველი ასოს მიხედვით ანბაზედ გამოვარიგეთ ლექსები“ (იხ. „ივერია“, 1883, № 11, გვ. 62).

ანდაზები, აფორიზმები და გამონათქვამები ილიას ყველა უანრის ნაწარმოებში დასტურდება მეტ-ნაკლებად. მშერალი ყველგან ხმარობს მათ.

ილია „ივერიაში“ სისტემატურად ქვეყნებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექადაგი ხალხურ ნაწარმოებებს. იგი რედაქციის კარებს ფართოდ უღებდა მთისა თუ ბარის ხალხურ ლექსებს, სიმღერებს, ზღაპრებს, ანდაზებს, შელოცვებს, გამოცანებს; რიტუალთა ალექსებს.

დ. მესხი წერდა: „იშვიათია მისი ნაწერი, რა სახისაც არ უნდა იყოს, რომ ხალხური თქმულებანი, იგავები, თუ მოსწრებული სიტყვები მიგ არ ერიოს.“

საუბარშიც უყვარდა ხოლმე ხალხური სიბრძნიდან მაგალითების მოყვანა“. ანდაზები მრავლადა ილიას პუბლიცისტურ წერილებშიც. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია 130 ანდაზა, რომლებიც „პატარა საუბრის“ ავტორს თავის პუბლი-

ცისტურ წერილებში გამოყენებისა. ილიამ გააფართოვა ანდაზების გამოყენების აუდი იხმარა ისეთ კონტაქტშიც, სადაც ისინი მანამდე ასე თავისუფლად არ ყოფილ პროც. ზ. ჭუმბურიძე ილიას თხზულებებში ანდაზების ხმარების სამ სახეს აღასტურებს.

1. ზოგჯერ ანდაზა მოყვანილია უცვლელი ფორმით და მშერალი ქვე აღნიშვნა რომ იგი სალტურია: „ტუპილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხაცი: ორმა კაცმა ჩოშ გის რას, ბრძან ხარო, უნდა დაიგრო“.

2. ზოგად ანდაზა თავისი მზადზარეული ფორმით პირდაპირ, უკომენტაროდ ზორებს შემდეგი სახით დააბინა, ან ზენეს იცვლის, ან ფერსაონ“.

3. უფრო ხშირად ილია მიმართავს ანდაზის გადაკეთებას ვითარების შესაბამისად, „ზღვა კოვჭით დაილევაო“, ილიას ასე აქვს გამოყენებული: „აღამიანის გულივე ზღვაა, რომელიც კოვჭით არ დაილევა თავის დღეში“... ილიას აქვს გამოყენებულ სხვა ბალბთა ანდაზებიც (განსაკუთრებით რუსული). (შ. ჭუბმბურიძე, ლიტერატურულ წერილები, 1975, გვ. 174-176).

ილია ზოგიერთ ანდაზის სათაურადაც კი იყენებს., თანაც იძლევა ამ ანდაზის ვეზ
ზის. მაგ., 1877 წ. № 16 „ივერიაში“ დაიბეჭდა „ფიცი გმწმას და ბოლო გვაკვირვებს-
რომელსაც სქოლიოში ასეთ განმარტებას იძლევს: „ერთს კაცს მეორისათვის ერთი ძალა-
ლი ჟოგპარი, გამოდგომოდა მამლის პატრონი, ხელი წაეკლო ქურდისათვის. ქურდს თუ-
მე იღლიოს ქვეშ ამოეფარი მამალი, მაგრამ ისე კი, რომ მამლის ბოლო გარედ დაწე-
ნოდა. ქურდმა ფიცი დაიწყო თურმე, რომ შენი მამალი მე არ წამიყვანისა. პატრონ-
ხედავს რა თვისის მამლის ბოლოს იღლიდან გამოშვერილს, ეუბნება: ძმობილო შე-
ფიცი მწამსო, მაგრამ ეს ბოლო კი მაკვირვებსო“.

1866-1876 წწ. უშერია თარიღად კრიტიკულ წერილს „ზოგი რამ“, რომელსაც ენა გრაფად ხდება გრ. ორბელიანის სიტყვები: „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“, რა თავის მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ შეტაცვი აფორიზმის გამონაშექი ჩანს: „დიდი ლეინ ჭირთა თქმა, თუ კაცი მოუხდებოდეს“ აღნიშნულ წერილში ილია მოხერხებულად იყენებს რუსთაველის აფორიზმს „ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო“.

იღიას თხზულებებში ყველაზე მეტი აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდანაა“. ამ შემთხვევაში ზოგჯერ მითითებულია წყარო, ზოგჯერ — არა. არის შემთხვევები, რომ შეცვლილია, პერიფრაზირებულია რუსთველისეული ტექნიკის სტრუქტურა, მაგრამ ამავე იგივეა. მაგ., „ლეკვა ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხეადიაონ“, უთქვაშა რუსთველი „ისიც კარგად ვიცით, რომ „რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დამპუნაროსა, უწავა და სხვა მოვა, ტურფასა საბალნაროსა“.

რუსთველისეული აზრის პერიტაზის მაგალითია: „მე ივი ვარო... ვის სიკედლი მოყენისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“, — კითხულობთ „გლახის ნაამბობში“. კიდევ: „წავიდა იგიცა, ვითა სიზმარი ლამისა“, ან კიდევ: „ვა, სადაური სად ვკვებდი“ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებს ილია ნაწარმოებისათვის ეპიგრაფადაც იყენებს; მაგ პირებას „რამდენიმე სურათი ასუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდან“ წინ უძღვის რეპტველის აფორიზმი: „მეც გლახაეთა საჭურქლო, ათავისუფლე მონები, მოღვიან, მომენტები, დამლოცვენ, მოვეგონები“. ილ. გავვაძე წოვგერ რუსთაველის აფორიზმს ნწარმოების სათაურადაც კი იყენებს; მაგ., „კარგი რამ მჭირდეს გვიყირდეს, ავი რა ს ვირველია“. ეს არის ფელეტონი, რომელიც დაიბეჭდა ახლად დაარსებული ივერიული პირებელ ნომერში 1877 წელს. ეს ფელეტონი სიბრძნითაა აღსავსე. ეს არის ანდაზებ მაგ., „ხარი ხართან დააბო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“; შექმნილისეული ზრძნული გამონათქვამი „მწამს რომ შექმნირი მართალია: „სულელთ თამაშია ადამიანის ცხოვრათ“; ხალხური გამოთქმები: „აი, მეტი კი დაგვეცათ“, დამოწმებულია ბრძნული სიტყვი ბი წყაროს დაუსახელებლად: თუ ადამიანები ხართ, „არა-რა ადამიანური თქვენ არ უხ

ვუცხლევებოდეთ“, მოსწრებული გამოთქმა: „ლხინში მეც შენთანაო, კირშნი შენ შენფისაო და მე ჩემთვისაო“; აქე გვხდება ილისეული მოსწრებული „გამონათებაში“ „მეცნიერება სალარია, საცა აწყვია უკეთესი განძი, ადამიანის უკეთესის ჭვითა და გრძნობით მოპობული; იგი უდიდესი ტაძარია, საცა დაყუდებულია დიდებული ხატი კაცობრიობისა, ადამიანის ჭვითა და გულით ძირფასის თვლებით შეჭედილი“.

პროფ. ალ. ბარამიძე შენიშვნას: „ილია ჭავჭავაძე თავის ადგილას მოხდენილად და მაცვილებისად ურთავდა თავის წერილებში რუსთაველის „საანდაზო ლექსებს“ (ტერმინი იღიას ეკუთვნის — რ. შ.), რომ მის მიერ წამოყენებული შოსაზრებანი უფრო პკეთორი, ბასრი, მკაფიო და ნათელი გამოსულიყო. რუსთაველის აფორიზებს ილიასთვის პენდა „საანდაზო“, სამაგალით და საილუსტრაციო მნიშვნელობა. ამიტომაც მწერალი ზოგჯერ იძლებული ხდება შესაფერისად შეეცვალა რუსთაველის ტექსტის სიტყვა, საქცევა, კილო, ინტონაცია: ასეთ უცოდველ იძრაციებს იგი შეეცნებულად, მოფიქრებულად ჩადიოდა“ (იხ. ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1957, გვ. 39).

თავის ერთ კერძო წერილში ილია წერს მეუღლეს: „ერთხელ კატომ ჰსტევა, რომ ადამიანი ცოლეურთა ნათესავებს უფრო ვტრისო, ვიდრო თავის საკუთარ ნათესავებს. ამ ზრის სიმართლე სრულად ვაგებე მე და სრულად გაძოვცადე. აღმად სოფელი ასე მქმნელი ყოფილა“. ხაზგასმული ფრაზა რუსთაველის აფორიზმის ნაწილია გარეული მეტამორფიზით: „დღეს არა, ხვალე მოკვედები, სოფელი ასრე მქმნელია“, „არ ვაცი, „ვარდი უკელოდ არავის მოუკრეფია“, — ამბობს ჩენი მოხუცი რუსთაველი“. კიდევ მეტი, ლექსების ცილში „ორ-ხმიანი საახალწლო იარერეტი“ ილია სტროფებს მართავს რუსთველურად შოთას არმდენიმე სიტყვს გამოყენებით: „შენთან არავინ პკადრულობს არცა ზავს, არცა ბრძოლასა, — სჯობს უყოლობა კაცისა, შენისთანისა ყოლა-სა...“ (შდრ. „სჯობს უყოლობა კაცისა მომღურავისა ყოლისა“), „ახლებში თავს სდებს, გვატყუებს, არ ახალია, ძველია, რაც ვინდ რომ ქერქი იცვალოს, გველი ეგრევე გველია...“ (შდრ. „სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია“). „თავს იქებს, თუმცა მის ქება სხვერგან არ გაგვიგონია; ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“. (შდრ. „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“).

ილიას აქვს ბრწყინვალე გამონათქვამები, რომლებშიც ცხოვრებისეული სიბრძნეა ჩაქოვილი და ბეჭდის თვალივით ზის ნაწარმოების (მხატვრული იქნება ის თუ პუბლი-ცისტური) საერთო ქსოვილში.

ილია თავის ნაწარმოების თითოეულ სიტყვას ელოლიავებოდა, ეფერებოდა, თვალის-ჩინივით უფრთხილდებოდა, აი, როგორ ემუდარება იგი ერთ ბარათში რ. ერისთავს: „თქვენი ჭირიმე, კინაზო რაფიელ, ამ სტრიქონებს ნუ ამომლოთ. „Многая лета“ ნუთუ აკრძალული სიტყვაა? გეფიცებით, ამ ლექსს წაუშლელად თვითონ ლუკა სტეფანისტეც კი დაუბრძოლოვ გაუშვებდა. თქვენ ჭირიმე, ლექსს ნუ წაახდენთ, პასუხისმება ჩემი იყოს, თუ ვინმე რამ შეპიშნოს“, ბერის მთქმელი სტრიქონებია!

ილიას აქვს ასეთი აფორიზმი „კაკო ყაჩალში“: „რომ ბეღძი მყოფი შენ ძმად მიგანდნებს — ეგ ვერაფერი სიყვარულია, სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბეღძისაგან დაჩაგრულია!“

„კაკო ყაჩალის“ პირველი ნაბეჭდი ვარიანტები გამოქვეყნდა „საქართველოს მომბეჭდი“ (1863, № 10), შემდეგ პოემა დასტამბა კირილე ლორთქიფანიძეშ („ჩონგური“, 1864), უკრნ. „ვერერაში“ (1879, № 5), (აქ პოემა მთლიანად პირველი და გამოქვეყნდა)... იგი იბეჭდებოდა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ ყველა გამოცემაში, ქვეყნდებოდა 1892 წელს ილიას ხელმძღვანელობით გამოცემულ თხზულებებში, იგანე გომელაურის „ქართველ მწერლებში“, ილიას ყველა აკადემიურ გამოცემაში საბჭოთა პერიოდში... მაგრამ ყველგან საანალიზო ტექსტში სტერია „სიტყვა“. სამაგიეროდ მის. გედევანიშვილის სახელგამის (1914), სახელგამის (1937). აგრეთვე 1937 წლის გამოცემაში „ჩვენი ქართველის გამოცემაში“.

საუნდის“ მე-7 ტომში სწერია: „ხაქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან და-
ჩაგრულდა“, ე. ი. ისე, როგორც ამას ხალხი ამბობს.

ილიას ეს აფორიზმი, — წერდა ან. თევზაძე, — უნდა გასწორდეს ისე, როგორც
ხალხი ამბობს, ქართული სალიტერატურო ენის ბუნების მიხედვით ისე, როგორც ის. იყო
წარმოდგენილი ილიას თხზულებათა პირველ აკადემიურ გამოცემაში (1914) — „ხაქმე
ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულდა“ (ლიტერატურული წერა-
ლები, 1977, გვ. 194-198). ამ საბუთს ჩვენ იმასაც დავუმატებდით, რომ ბიბლიაში იყოთ-
ხება „ხაქმემან შენმან გამოვაჩინოსო“ და არა „სიტყვამან შენმან“.

ილია დიდი დაკვირვებით იყენებდა ანდაზა-აფორიზმებს, მათ ათავსებდა ზუსტად
განკუთვნილ აღგილზე. მწერალი დიდ პატივს სცემდა ხალხის ნიჭისა და ნათელ გონებას,
გლეხის პრაქტიკულ კუთა, მათი გამოთქმების ხატოვანებას. „კაცია-ადამიანის“ შესავა-
ლში დიდი დაკვირვებით, მეცნიერული სილრმით ხსნის ერთი ქართული ანდაზის შექმნის
რთულ ფსიქიკურ სიტუაციას. ეს არის: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“...

ი. მანსკვეტაშვილის გადმოცემით, ილიას დიდად მოსწონდა გლეხების დარბასილო-
ბა, ნამუსიანობა, ჭკვიანურობა, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი. მეტადრე დაკვირვებდა
ილიას გლეხის ფილოსოფიური გულგაუტეხელობა, როდესაც რიამე უბედურება ეწვე-
ოდა.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ილიას ორიგინალური რამდენიმე გამოთქმა, რომლებიც:
ხალხურ ფრთიან სიტყვებს უახლოვდება თავისი სიბრძნითა და მოკვეთულობით. ილია
ფოლკლორიდან სესხულობს აზრის სინათლესა და ნიმუშირებს, ლექსის ფორმის მოქნი-
ლობასა და სინარჩარეს; ას, ორიოდე მაგალითი: „შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება... რად მინდა ხმალი, თუ სიმა-
რთლისთვის დამიჩლუნგდება?“. „და თუნდ მოკვდე, არ მეშინან, მაგრამ კი ისე, რომ
ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან, თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი?“

კიდევ ორიოდე მარგალიტი: „წუთის-სოფელი ესეა, ღამე დღეს უთენებია. რაც
მტრობას დაუქცევია — სიყვარულს უშენებია“. „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს. წესი
წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰყითხო, — აბა დღეს შე ვის რა ვარგა?“

ილია ჭავჭავაძის მიერ გამოყენებული ანდაზები, აფორიზმები, მის მიერ შექმნილი
ფრაზები და მოსწრებული გამონათქვამები ძირითად ტექსტთან ერთად, რომლებშიც
შედიან ლექსიების ეს ფენები, ერთხელ კიდევ აგრძნობინებს მკითხველს მწერლის თხზუ-
ლებათა ძალას, მის ღვთაებრივ სიბრძნესა და ანდაზატურობას...



«შენ ჩაღის გენის გემაზინ»

თევული წლების განმავლობაში იმედით უმზერდა და ყურადღებით უსმენდა მშობელი ერი ილია ჭავჭავაძეს. ისიც მოძლვოუდა, „ლმერთან ლაპარაკობდა“ და წინ მიუძღვდა გშობელ ხალხს. იშვიათია ერი, რომელსაც თავის წინამდლოლად, მამად და უგვირგვინი მეფედ ეღიარებინოს მწერალი. ასეთი იყო დიდი ილია.

გამორჩეულად მრავალმხრივი მოღაწე იყო ილია ჭავჭავაძე. პოეტი დიდია, როცა დიდია მისი პიროვნებაო, — მბობდა გრეთე. ძნელია მისი დადგვნა, თუ რომელი უფრო დიდი იყო — ილია, როგორც პიროვნება, თუ როგორც შემოქმედი. მასში მამულიშვილობა, ერისეაცობა, შემოქმედებითი სიმაღლე და სიძლიერე ერთმანეთს ავსებდა და ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგნდა მას.

დიდ ილიას სმშობლოსადმი სამსახურის ორ მთავარ ფენომენად ხელოვნება და მეცნიერება მიაჩნდა. ხელოვნებით ადამიანთა სულის აღზრდას, ხოლო მეცნიერებით ადამიანთა პაროვნების განვითარებას ესწრაფოდა. მხოლოდ ხელოვნებით გაეკთილშობილებული და მეცნიერებით განათლებული ადამიანები მიაჩნდა სამშობლოს ჭეშმარიტ მსახურებად და პატრიოტებად. „ცხოვრება ძირია, ხოლო ხელოვნება და მეცნიერება მასზე ამოსული შტოები არიან... მეცნიერება და ხელოვნება ეს ორივე ერთსა და იმავეს მსახურობებ“, — მბობდა დიდი ილია.

ამ კუთხით უდგებოდა ის, აგრეთვე, ხალხურ საუნჯეს. ზეპარსიტყვიერებას „დიდი გაელგნა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზე, ეროვნულ წარმარებაზედონ“, და მოითხოვდა „ხალხის ცხოვრების“ ყოველმხრივ და პარმონიულად შესწავლის, „იმისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოებების“ შეკრებას.

ილია ჭავჭავაძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოების მეთაური და ამ საზოგადოებას უწევდა პაქტიკულ დამარტინებას, აძლევდა მიმართულებას, მითითებას და, აგრეთვე, სამოქმედო პროგრამას. ერთ-ერთი ასეთი იყო ხალხური სიტყვიერების შემკრებათვის გამოცემული პროგრამა (1881-1882 წ.წ.), რომლის შექმნასაც უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდა. ასეთი პროგრამის შექმნის ფაქტი თვითონ გვისავად ცხადყოფს დიდ ურადღებასა და პასუხისმგებლობას ხალხური ზეპარსიტყვიერი ნიმუშებისადმი. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე თვითონ გვევლინება ფოლკლორული მასალის შემკრებად, და ამ ნიმუშებს პრესაში აქვევნებდა. გარდა ცალკეული ხალხური ლექსებისა, გამოქვეყნდა, აგრეთვე, კრებული „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძის მიერ“ (წიგნი პირველი, თფილისი, გამოცემული ი. მელიქიშვილის და ე. ხელაძისაგან“ 1873).

ცალკეული ფოლკლორული ნიმუშების შექრება — პუბლიკაციასთან ერთად ასეთი კრებულის გამოცემა, ფოლკლორული მასალის შემკრებთა დასახმარებლად სპეციალური პროგრამის შექმნის თაოსნობა, ამასთანავე, ორიგინალურ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებში ხალხური საუნჯის შემოქმედებითი გარდასახვა აშკარად მიუთითებს ილია ჭავ-

ჭავაძის შეხედულებასა და დამოკიდებულებაზე ქართული ეროვნული ფილმის შემართ.

დღეშეთში მოსამართლედ მუშაობის დროს, 1871 წელს, ილია ჭავჭავაძე და დაუახლოვდა მოზელებს, მოხვევებს, ხევსურებს და ფშაველებს, მათგან მოისმინა და ჩაიწერა მისამართ ზეპირსიტყვიერი ნიმუში, მათგან სამოცხვე მეტი დასახელება დამოწმებულია პ. უმიჯ შვილის „ხალხური სტრუქტურების“ ოთხტომეულის მეორე ტომში.

ფოლკლორული ნიმუშებისადმი ილია ჭავჭავაძის დიდ სიყვარულსა და ყურადღიაზე შეტყველებს პოეტის, თანაკლასელის, მეგობრისა და თანამოაზრის კოხტა აფხაზი მოგონება: „მამულის უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰვე ილიას. მეტისმეტა უყვარდა ბაასი გლეხაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. პერეფდა და აგრძელებდ ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს, უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებ ყურს.

ილია ჭავჭავაძემ ხალხურ საუნგეს მიმართა თავის ისეთ უკვდავ ნაწარმოებებში როგორცა „განდეგილი“, „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღი ცხოვრებიდამ“, „მეფე დიმიტრი თავდაცებული“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ. მეტი საინტერესო პოემა „განდეგილში“ აღწერილი ბეთლემის შედარება მის ირგვლივ არსებულ ფოლკლორულ მასალებთან.

ფოლკლორული მასალების მიხედვით, „ბეთლემშე ჯაჭვია გადმოკიდებული, ბეთლემში ბერი ცხოვრობს. მწყემსმა ქალმა ბერების წმინდა აბანოში იბანავა. ამის გამო ხატე განრისხდა. მწყემსი ქალი ერთ კლდესთან შედგა, სინათლე შენიშნა, შველა ითხოვა“ ბერმა იგი ქვაბულში ამოიყვანა. მწყემსი ქალი ცეცხლს მიუჭდა. ქალმა ბერი აცურნა არ, ასეთია ბეთლემის ირგვლივ არსებული ზეპირსიტყვიერი მასალების ძირითადი მომენტები.

ასეთივე სურათს ვხედავთ ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“. პოემა მთლიანად ასიუჟეტზეა აგებული. ნაწარმოები გმობს ცხოვრებიდან გაქცევას, ასკეტიზმს. როგორც ვხედავთ, ხალხურ სიუჟეტზე დაყრდნობით დადგმა ილიამ მოგვდა ზოგადსაკუცობრით იღებებით შთაგონებული ნაწარმოები.

სახალხო გმირი მუდამ იყო სამაგალითო და მისაბაძი. მის პირად მაგალითზე იზრდებოდნენ თაობები, ბაძავდნენ მას, თავისთავში ზრდიდნენ სამშობლოს განუზომელი სიყვარულის გრძნობას. ასეთ სახალხო გმირს ილია ჭავჭავაძე აღრებული წლებიდანვე ეძებდა. იგი განსაკუთრებული სისავსით გამოიკვეთა პოემაში „აჩრდილი“. ასეთი გმირი ბეღნიერია, თუკი სამშობლოსაფის დაიღუპება, „მას განაცოცხლებს სიმღერა ჭალხთა“, რამელსაც „აკვაზზედ დედა უმლერებს შვილსა“. ეს სიმღერა გმირის სახელს შორეულ საუკუნეებს გადასცემს.

პოემაში ვკითხულობთ:

წმინდა იგი, ვისაც ელისა
მამულისათვის თავის დადება.
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება.

ფოლკლორული ნაწარმოებისათვის დაშახასიათებელი, ცხოვრების სასიკეთოდ გაიღდა დამშენელი სახალხო გმირის სახე ასე წარმატებით ჩამოაყალიბა და დაახასიათა პოემში „აჩრდილი“.

ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად სიცტერნებთა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. მასში განსაკუთრებით სა-

ურალებოა სახალხო ვმირის არსენას სახე და ფოლკლორიდან მომდინარე სწორი მომდინარე მენტები.

პოემაში მოცემულია სოციალური უსამართლობის მძაფრი სცენა. მეტად სინტერესია, რომ სწორედ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით გამოჩნდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო ვმირის არსენას სახე.

მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლეხკაცი, როგორც ძმა ჰყვარებია

ამა კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ჰურებია.

ცონბილი ზალხური ლექსის პოპულარული გმირი არსენა ოძელაშვილი არის პო-
გორც ავტორის, ასევე მისი პოემის სახელმისამართი პერსონაჟების — კაკისა და ზაქარია
დადელური გმირი.

ასეთი ურალებითა და შემოქმედებითი სიფაქიზით ეკიდებოდა ი. ჭავჭავაძე ფო-
ლკლორულ მასალას, ქმნიდა მეტად დასამახსოვრებელ პოეტურ სცენებსა და შთამბე-
ჭდავ პერსონაჟებს.

სიუცეტური თვეისებურებებით, გამოსაზვის საშუალებებითა და პატრიოტული ელე-
რალბით მეტად სინტერესობა პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. იგი ისტორიული
ხასიათისა. მონლოლთა ყაენს ქართველები აუგანდონენ. ქვეყანა აოხრებისაგან რომ
გადაერჩინა, ქართველთა მეფე დიმიტრი თავად წავიდა ყაენთან. ილია ჭავჭავაძის დაბა-
ხელებულ ნაწარმოებში ლაპარაკია მეფე დიმიტრის თავდადებასა და პატრიოტიზმა. უკველივე ეს გადმოცემულია სინტერესო პოეტური ხერხით. იგი ნასაზრდოებია ამბის
თხრობის ხალხური ტრადიციით: საყდრის წინ თავმოყრილმა წალხმა თხოვნით მიმართა
ბრძან მეფანდურეს, ფანდურზე დაემღერებია ისეთი რამ, რაც „გულს უანგს მოაშორებდა“,
რარდ შეუმსუბუქებდა. ბრძან მეფანდურემ აიღო ფანდური და დაამღერა. მისი შთამა-
გონებელი სიტყვების საშუალებით გაიგო ხალხმა, თუ ვინ იყო, რას წარმოადგენდა
ქართველი ერი წარსულში. როგორ სწირავდა ხალხი თავს ქვეყნის თვეისუფლებისა და
ბედნიერებისათვის.

ასე საინტერესოდ გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ სახალხო მოძღვრლისა და მთემელის
ტრადიციული ხალხური სახე. მისი საინტერესო ლექს-სიმღერითა და თხრობით ხალხის
დარაზმეა და პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება.

ზღაპარი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ენარია ზალხურ შემოქმედებაში. ლიდი
სიყვარულით ეპყრობოდა ზღაპარს ილია ჭავჭავაძე. იგი პერსონაჟის პირით ამბობს,
რომ ვინც „წიგნი იცის“ და ვისაც ზღაპარის კითხვა შეუძლია, იგი ბედნიერი კაცია, მის
„ბედნ ძალი არ დაჰყეფს“.

„გლოხის ნამბობში“ კვითხულობთ

— ეგ რა არის? — კვითხე და დავანახე წიგნი.

— ზღაპრების წიგნია.

— აბა, თუ ღმერთი გწამის, წაიკითხე, მეც გავიგონო, — ვუთხარი მე ცვეწით.

დამიჯერა იმ კიდე კაცმა და დაიწყო ისეთნაირად კითხვა, რომ, ღმერთო შეცლოდა,
შენი მომერივა... მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა, ის ზღაპრები მეკითხა, ჩემს ბედნ
ძალი არ დაჰყეფდა“.

ზღაპარს დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს. შას ახასიათებს, აგრეთვე, ესთეტი-
კური და აღმზრდელობითი ფუნქცია. თიდი ილიასათვის ფოლკლორული ნაწარმოების
როგორც შემეცნებითი, ასევე ესთეტიკური და აღმზრდელობითი თვისებები მეტად მნი-

შენელოვანი იყო ადამიანთა სულის გასაკეთილშობილებლად. პიროვნეული ადამიანი იყო უფლებულ ნიმუშს „ხალხის გენიას“, „შეცდომელს“ და „ყოველთვის მართლ უწოდებს. ფოლკლორისადმი ილია ჭავჭავაძის ღამიკიდებულება ყველაზე რელუქად გამოჩხდა „კაცია-ადამიანში?!“

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს კი პირსუკანაო“. სადა ხარ ახლა ამ გოხიერ სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ. ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ის ვიცი, რაც გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცნ მელი და ყოველთვის მართალი ხარ“.

ხალხური საუნგის შესანიშნავი მცოდე მწერალი ზუსტად და ამომწურავად პარ წინმდიდარი ცხოვრებისეულ კითხვებს, წამოჭრილს მხატვრული, სოციალური, პოლიტიკური ეკონომიკური და სხვა სფეროებიდან. ხალხი უსმენდა დიდ ილიას და სჯეროდა მის ართგორულ წინამძღოლისა, მასწავლებლისა, მრჩევლისა, ჭირისუფლისა, ღილი შემოქმედისა და დიდი მოღვაწისა.



„პუნებისა თქვენის ვარ შვილი“

აკადი წერეთელმა თავის პირველ კრიტიკულ სტატიაში „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ (1865 წ.) აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძე თავს უფრო ბუნებრივად პროზაში გრძნობს, მაგრამ მანაც და ქართული ლიტერატურის კრიტიკის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმაც თავიდანვე მაღალი შეფასება მისცეს ილიას პოეზიას.

„ყოველს მის ლექსებში, — წერს აკადი წერეთელი, — ეხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, ხაგრამ რა საგანიც უნდა იღლოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირად მაინც თვითონ არის... ამისი ერთს სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ, ჩვენის ბულბულების ნაწერში... არ გავცვლი, და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსში ოცნებას კი ვერა ჯერდავთ, მაგრამ ყოველს დღიურს ჭეშმარიტებას, ჩვენს ნაცლულევნებას და ჩვენს საჭიროებას და ამისათვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც“.

კიტა აბაშიძემ ილია ჭავჭავაძეს პირველ ლირიკოსთა შორის მიუჩინა აღგილი, სილოვან ხუნდაძემ კი მისი პოეტური ნიჭი განსაკუთრებული მგრძნობიარობით, მოულოდნელი და წარმტაცი კოლიზიებით ვიქტორ ჰიუგოს ნიჭის შეადარა.

ილიამ ლექსების წერა აღრე დაიწყო. თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლისას მან შექმნა „წერილი ნინო ჭავჭავაძე-აფაზისას“, „მოთქმა საწყლისა“, „სიტკბორება თავის მამულში“ და სხვ. ამავე პერიოდს ეკუთვნის ლექსი „ჩიტი“, რომელიც უურნალ „ცისკრის“. 1857 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძეს, როგორც თავისი ქვეყნისა და ხალხის ბეღზე ღრმად ჩაფიქრებული, ორიგინალურად მოაზროვნე პოეტის ჩამოყალიბების მაუწყებელი გახდა ამავე 1857 წლის 15 აპრილს დაწერილი შვეცენირი ლექსი „ყვარლის მოებს“.

„როცა ილია ჭავჭავაძე ასპარეზზე გამოვიდა, — აღნიშნავს არტურ ლაისტი, — მიუხედავდ იმისა, რომ ახალგაზრდა იყო, უკვე ჰქონდა თავისი გარკვეული მსოფლიხედოვნობა. სამშობლოს მაშინდელმა მდგომარეობამ დინჯ და ფიქრიან ჰყო იგი, და როცა მან სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო, მტკიცედ ჩაინერგა გულს, რომ თავისი ნიჭი და შრომა თავისი ერის ამაღლებისათვის შეეწირნა.“

სწორედ ამ განწყობილების პირველი მკვეთრი გამოხატულებაა ლექსი „ყვარლის მოებს“. პეტერბურგის უნივერსიტეტში წასვლის წინ ილია დას — ნინო ჭავჭავაძე-აფაზის უზიარებდა თავის მძმე განცდებს ყვარლის დატოვების გამო, იგი წერდა, რომ ძალიან ერწოლება შშობლიურ სოფელსა და სახლთან გამოთხოვება, სადაც ყოველი ადგილი თავის დაუდევნებ ყმაწვილობას აგონებდა, სადაც ყოველი ხე და ბუჩქი ძირიფასი იყო მისოვის. „ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველ ფერს, რთაც არის ჩემის გულიდამ დაუგრძელება, და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესაური სიტყვა, საესე სიყვარულითა, ეღიარება ჩემთვის ნეტარებად, სადაც უბედურებაში არავინ მეყოლება ნუგეშისმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული, მაგრამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დროს შევ ღრუბელში აღუბრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტბილს მდგომარეობას დაუტოვებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტებილე-

სად შეხვდეს თავის ბეღნიერებას. შენ თვითონ იცი, ვარდსა წინ მოუტყიფილი ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შეშობდეს ეკლისაგან...

ილამ უაღრესად მყვეტი, ნათელი სახე შექმნა კაცისა, რომელიც ბავშვობიდან შეზრდილ ადგილებს შორდება. ამ კაცის თვალშინ მშობლიური სოფლის წარმტაცი სანახები იშლება. იგი გაფაციცებით ათვალიერებს კველაცერს, სიყვარულით ეალერსება და ეოხვება. და უცებ მისი მზერა კველაზე მთავარსა და ძვირფასს — ყვარლის მოგბს წვდება. ლექსის პირველივე სტრიქონები პირველი აკორდივით გამოსცემს ავტორის, ღრმა ბოეტურ განცდას.

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
ვაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განურელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებით შეუდლებული!

თავიდანვე ამაღლებული, პოეტური განწყობილება იქმნება და ჩვენც გატაცტებით მივყვებით ლექსის, თუმცა იგი საქმიოდ ვრცელია. მაგრამ არ ვიღლებით და არც კითხვა გვერზრდება, რაღან ჭაბუკი ილია უკვე ლექსის დახელოვნებული ოსტატია და თანდათნ ამაფრებს პოეტურ განცდას.

ილია ჭავჭავაძე ეთაყვანება იმ ადგილს, სადაც შობილა და გაზრდილა, სადაც პირველი და ლუქამის და გაუღმერთება გარემომცველი ბუნება, მთელი სამყარო, ზეგალივით ეალერსება თავის მშობლიურ სოფელს, მის მთებს, რომლებსაც პატარაობიდანვე ჭირეტრა და რომლებიც უკვე მაშინ თავისექნ უხმობდნენ, იშიდავდნენ, ამაღლებისაკენ მოუწოდებდნენ:

მე თრთოლით ვსჭიროებდი ლაუგარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს...
და შევნატროდი ყამწვილურად თქვენს ზემო მხარეს...
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვებვიო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.

მგოსანი ხევში მძვინვარე ქარიშხალთან და დაჭრილი ლომის ღმუილის მსგავს ხებთან სულიერ ნათესაობას განიცდის: იმ ხმებში ვერქმნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურსო. აქ დაახლოებით იგივე განწყობილებაა გაღმოცემული, რაც ნიკოლოზ ბართოშვილის გენიალურ ლექსში „შემორამება მთაწმინდაზეც“ გამოიხატა:

აწცა რა თვალი ლაუგარდს გიხილვენ,
მყის ფიქრი შენდა მოისწრაფან,
ვაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ
და ჰაერშივე განიბნევიან!

დიახ, მაღალი მწვერვალისადმი სწრაფვა ნიშანდობლივია პოეტური აზროვნების ტიტანისათვეს. გავიხსენოთ გალაკტიონი: „მსდევდნენ, მეძაბლენენ, მიზიდავდნენ, ის მწვერგალები...“

ილიას სტრიქონები ღრმად ალეგორიული შინაარსისაა და მათი შემოტანა ამდიდრებს ქართული პოეტური აზროვნების საგანძურს. მაგრამ პოეტი ამით არ იფარგლება და აღნიშვნას, რომ როცა ყმაშვილური სევდა მოეძალებოდა, ყვარლის მთებს გადაუშელიდა გულს, მათ შესხიოდა და შესტიროდა, მათგან მოელოდა ნუგეშს, მხენეობას. ეს მოლოდინი და „საოცნებელ წარსულთა წამთა აჩრდილნი“ დაუკიშარია მისთვის, სიკვდილამ და გაჰყვება ცხოვრების გზაზე.

აქამდე ამ ლექსში გამოხატული განწყობილება თანდათან ქმნის ფონს პატივული გარი სათქმელის გადმოსაცემად.

აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
ოქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ ზეილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად განჩდილი.

მანამდე ქართულ ლიტერატურაში არავს გაღმოუცია ასე ნათლად და მისაფრად შობლიური მთებით თავმოწონების გრძნობა.

პოეტი აცხადებს, რომ მომავლის ინტერესები რუსეთში წასვლას, შობლიური ადგილებისაგან განშორებას ავალებს:

რარიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ურმობის,
და აწ მაშორებს ოქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა
და რას მომთხოვდა უარესსა დასახვლადა?

თუ ნიკოლოზ ბარათაშვილთან სოფლის სამსახურის მაღალი ფილოსოფიური აზრი მირითადად მაინც ზოგადი პლანით არის წარმოდგენილი, ილია ჭავჭავაძე საკითხს კონკრეტული პერსპექტივის თვალსაზრისით სავამს: ქეყყანას, ერს პრაქტიკულად რომ გამოადგე, უწინარეს ყოვლისა, ეპოქის შესაფერისი მოწინავე ცოდნით უნდა შეიარაღდე. მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა!

აქ ჩვენს თვალწინ თავისი თაობის, თავისი დროის სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბებაზე დაფიქტებული მათხროვნის სახე გაიღლებს;

აქ ჩვენ პირველად ვხვდებით ილია პოეზიაში „მომავლის ბედს“. მომავლზე ციტირს, ოცნებას, რაც შეძლება მთელი მისი მხატვრული შემოქმედების, საზოგადო მოღვაწეობის ქვაკუთხედად იქცა.

დგება ყველაზე ტრაგიული მომენტი — მშობლიურ ადგილებთან უშუალო გამოიხატების დრო. ყვარლის მთები თანათან თვალს ეფარებიან. ლირიკული გმირი ეტლიდან, იწევს, გაფაციცებით ცდილობს მანძილი და „პარის სისქე“ გაარღვიოს და მერჩასი მთები ისევ დაინახოს! მაგრამ ეს შეუძლებელია, გმირს ცრემლი ერევა, და ცულ-დაოუთქმული წარმოთქვამს:

მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გავიღიმებთ შორ ქვეუნიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

მთელი ლექსი ისე უშუალოდ იყითხება, როგორც ერთი ამოსუნთქვით შექმნილი. ასეა, როცა მგოსანს დიდი სათქმელი ამოძრავებს და მარტოოდენ ლექსის ტექნიკური მხარის გამოყენების იმედით არ გამოდის ასარეზზე. პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ილია ტექნიკურ მხარეს არც კი იქცევს საჭირო ყურადღებას, დიდი შინაარსისა და განცდის ოსტატური გადმოცემით იმარჯვებას.

ილიას ლექსები, მათ შორის „ყვარლის მთებს“, ქართული მწერლობის მშვინებად იქცა. ისინი ყოველ ქართველის ძვალსა და აბილშა გამზღვარი და მათი აზროვნების, მათი მოქალაქეობრივი კრედიტის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენ.

მთის თემა ილიას თითქმის მთელ შემოქმედებას გასდევს და ამშეენებს — „აზრდილსაც“, „მგზავრის შერილებასაც“, „გლანის ნამზობასაც“, „განდეგილსაც“, სათვავ კი „ყვარლის მთებია“, რომელშიც პოეტმა უკვდავი ძეგლი დაუდგა ძვირფას მთებსაც და მშობელი მიწისადმი დიდი სიყვარულის გრძნობასაც.

ნატიბა ცოდნა

რატოგ დაიხურა „საქართველოს მოამბე“

1861 წლის მაისში პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ თერგდალევა თა სახელმოვანი თაობის საბრძოლო პროგრამა ასე ჩამოიყალიბა: „დავრდომილი ოღვაზე ნო, უნუგეშოს ნუგეში მოვთინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაქს შრომა გვუდვილო... და ის თითოეული ნაპერწყალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კუში არ ყოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემი ქვეყნის გაციებულის გულის გმა თბიბად“.

ერთს წინამდობარს ჩამოსვლისთანავე თავის გარშემო შემოიკრიბა ახალი თაობა, ეროვნული სულისკვეთებით აღტკინებული საზოგადო მოღვაწეები, მათ საბრძოლო დროშის მოხევე ლელო ღუნისა ამაყი სიტყვები დაწერა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუზდნეს“ და შემტევ ტრიბუნად „საქართველოს მოამბე“ გაუხადა. მისი მთავარი მიზანი ასე გამოიკვეთა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება...“

ახალი თაობის ამ საპროგრამო წერილითა და უურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ სტატიისთვის ი. ჭავჭავაძემ თავის მოწინააღმდეგებათა ბანაქში განგაში გამოიწვაა. ილია ამ მალევდა თავის ურყოფით შეხედულებებს უურნალ „ცისკარში“. ის წერდა: „ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია“ ამგამალ. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, კეუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰერძობს! მეც მაგასა ვჩინი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა“. ცისკრელები ძალშე გაანაწესა ილიას მოურიდებელმა კრიტიკამ, მაგრამ ას გაწყობდნენ? წინ ვერ აღუდნენ ილიას რკინის ლოგიკას, მაგრამ ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და არ გმობლნენ მოძველებულ მსოფლ მშეღვევლობას.

„საქართველოს მოამბის“ ბრძოლისუნარიანობა მისი მჩქანა მატიმისტურია. შემ თხევევითი როდია, რომ უურნალის პირველი ნომერი იხსნება 6. ბართშვილის ლექსი „შემოლამება მთაწმინდაზე“, სადაც პოეტი გამოთქვამს რწმენას:

„რომ გათენდება დიღა მზიანი
 და ყოველ ბინდა ის განანათლებს“.

ილიას პოეტური, პროზაული, პუბლიცისტური შედევრები უურნალის უურცლები დან წარმოაჩენდნენ ბატონიშვილის აუტანელ ვითარებას, ამკიდრებდნენ იმ აზრს, რომ ფერდალური ურთიერთობის პირობებში „კაცი კაცურად ვერ იცხოვრებს, ვერც ერთ დღეს“.

უურნალი ქართველებს აცნობდა სხვა ხალხების ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველ ნაწარმოებებს. ამ მიზნით ითარგმნა და უურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ვიქტორ პიუგოს „საბრძოლონი“, მისივე წერილი „სიკვდილით დასჯის საშინელება და მისი გადაგდები აუცილებლობა“, მ. ლერმონტოვის „სიზმარი“ და სხვ. ილიამ თარგმნა და უურნალში დაბეჭდა 6. დობროლიუბოვის ღოვეუმენტური ნარკვევი „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“. გავაცი თანამემამულებს განმანთავისუფლებელი ბრძოლისაკენ მოუწოდების მიზანით და მისი გადაგდება.

ქედა: „იცოდეთ, რომ მამული არ ალიდგინება არც სიმღერებით, არც ჰემინგვეიითა, დოკონბებითა, ჩირალდნებითა, არამედ ალიდგინება ყველას და თითოეულის წინაი თავდადებითა“. იტალიელი პატრიოტის ეს სიტყვები უნდა გავიგოთ, როგორც ნობრლიუბოვის მიერ მეფის რუსეთის ოკეანის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდება, ჩაც საგვარეულო ესაბამებოდა „საქართველოს მოაბის“ შეხელულებებს.

